# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათს და შაბათს | №16 (1646) | 11-13 მარტი, 1998 წ. ● ფასი 50 თეთრი



## შიდსი საქართველოს ციხეებში! შიდსი ქალთა კოლონიაში! ანუ რა მოვისმინე ელენე თევდორაძის კაბინეტში

მეორე გვერდი



## ისტორიული აფხაზები მეგრულად ლაპარაკობდნენ

მეხუთე გვერდი

## ოთხშაბათის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

## „დიდი შერიგება“ ნემო ბურჭულაძესთან წინასწარ დაგეგმილი სცენარის ერთ-ერთი ნაწილია

მეოთხე გვერდი

## ჩინელი თამადა საქართველოში



მეთერთმეტე გვერდი

## აქეთ ვალები, იქით ვალები, აი, ეს ხალხია თეატრალები...

მეათე გვერდი

## სპორტის სამყარო



მეშვიდე გვერდი



## კრიმინალური ქრონიკა

მეექვსე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შიდსი საქართველოს ციხეებში! შიდსი ქალთა კოლონიაში! ანუ რა მოვისმინე ელენე თევდორაძის კაბინეტში

ჩვენ, ჟურნალისტები იმისთვის ვარსებობთ, რომ საზოგადოებას ვამცნოთ ის, რაც შეიძლება არ იცოდეს და ზოგჯერ ეს არცოდნა უდიდეს ზიანს აყენებს ყველას. თემა, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, სრულიად შემთხვევით შემოიჭრა. იმდენად გამაოგნებელი ინფორმაცია იყო, ლამის დამავიწყდა, რისთვის ვიყავი მისული საქართველოს პარლამენტის პენიტენციალური ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ქალბატონ ელენე თევდორაძესთან.

კაბინეტში ვზივარ, ველოდები, ქ-ნი ელენე ტელეფონზე საუბრობს. ძალაუნებურად მესმის ფრაზები „მე ყველაფერი ეს წერილებიდან გავიგე...“ „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ორია დაავადებული...“ ვინტერესდები (რას იზამ პროფესიაა ასეთი) „... ქალთა კოლონიაშიცაა აღმოჩენილი...“ (ინტერესი ღვივდება, არ ვიმჩნევ) „ბატონო



ავთანდილ... ჩვენ ჩამოვაყალიბეთ...“ (ავთანდილ?) „ჩვენთვის ცნობილია ორმოცი ვირუსმატარებელი...“ „დიახ, დიახ შესაძლოა არ იყოს ზუსტი...“

(ვცდილობ გამოვიცნო ვის ესაუბრება ქ-ნი ელენე. ავთანდილ, ავთანდილ, მიტრიალებს თავში ეს სახელი, ნუთუ ჯანდაცვის მინისტრი?

„... დიახ, სხვა ინფორმაციით ხუთია... (ტვინი საოცარი სისწრაფით მუშაობს, კითხვები ბუზებივით ბზუიან — რა ვირუსი? ვინ არის ავთანდილი ნუთუ შიდსი? ნუთუ შიდსი?).

„... ხვალ შევთანხმდეთ, შევადაროთ მონაცემები...“ ვხვდები, საუბარი დასასრულს მიუახლოვდა. ჩემი კითხვებიც პასუხს პოულობენ. ვრწმუნდები, რომ საუბარი საშინელ დაავადებაზეა! შიდსი! ქ-ნი ელენე ჯანდაცვის მინისტრს ესაუბრებოდა. შიდსი ციხეებში გავრცელდა! ქალთა კოლონიაშიც! ორი ავადმყოფი, ხუთი თუ ორმოცი ვირუსმატარებელი!

ქ-ნი ელენე ყურმილს კიდებს, არაფერს ვიმჩნევ, იქნებ საუბრისას გაირკვეს კიდევ რამე. დიალოგი იწყება

**„მე მაშფოთებდა „ძალოვანთა“ თავდაჯერება“**

— ქ-ნო ელენე, როგორია საქართველოში განვითარებული ბოლო პერიოდის მოვლენების თქვენეული შე-

გაგრძელება მესამე გვერდზე

# ოთხშაბათის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

**პრეზიდენტი მართალს ამბობს**

არ შეიძლება **ყველანი** — და არა მხოლოდ საზოგადოების ერთი რომელიღაც ნაწილი — არ ეთანხმებოდნენ, ზოგადად, რადიოინტერვიუში გამოთქმულ აზრს, რომ ადამიანმა თუ ადამიანთა პოლიტიკურმა ჯგუფმა, რომელსაც ერსა და სახელმწიფოზე პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, „უნდა იპოვონ თავიანთი ადგილი საზოგადოებაში, თუნდაც, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ ლანდშაფტზე, მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში, შესთავაზონ საზოგადოებას, ამომრჩევლებს პოზიტიური პროგრამა, ჩაებან სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის, ქართული სახელმწიფო განმტკიცების პროცესებში. სხვა გამოსავალი არ არსებობს, სხვა გზა არ არის — მხოლოდ კონსტიტუცია და კანონიერება“.

ამ სიტყვების ყველაზე მნიშვნელოვანი და არა მხოლოდ მართებული, ის გახლავთ, რომ „პოლიტიკურ ლანდშაფტზე“ თავისი ადგილის მაძებარმა პირმა თუ პარტიამ ქვეყანას სწორედ მოქმედების პოზიტიური პროგრამა უნდა შესთავაზონ, ანუ უთხრან ქვეყანას ის, თუ რას აპირებენ, რა გზით, როდის, ნაბიჯთა რა და რა თანმიმდევრობით და რატომ აქვთ იმედი, რომ ეს ნაბიჯები შედეგიანი იქნება (როგორც ცნობილია, დღევანდელი მმართველი პარტიის და თვით პრეზიდენტის პოლიტიკის სუსტი ადგილი სწორედ ისაა, რომ არასოდეს არც ერთ გამოსვლაში და პუბლიკაციაში საქართველოს მძიმე პრობლემათა გადაჭრის **არცერთი** პოზიტიური გეგმა არ მოუხაზავთ. აბა ჰკითხეთ რომელიმე მათგანს როგორ აპირებს აფხაზეთის პრობლემის გადაჭრას, ცხინვალში კანონიერების აღდგენას, ორმილიონიანი სახელმწიფო ვალის გადახდას (დოლარებში), სახელმწიფოს ძარცვის აღკვეთას ან საქართველოში ყოვლისმომცველი უმუშევრობის განკურნებას? პასუხს **ვერ მიიღებთ** ზოგადი ცრუ ფრაზების გარდა.

შეუძლებელია არ დავეთანხმოთ პრეზიდენტს ყველა მის კონსტატაციაში იმის შესახებ, რომ საქართველოს დღევანდელი მემარცხენე რადიკალები (ე. ი. კომუნისტები) საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინაალმდეგი ძალა არიან (თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი **ერთადერთი** ასეთი ძალა არიან დღევანდელ ფართო და საკმაოდ შენიღბულ პოლიტიკურ სპექტრში). ასევე შეუძლებელია არ დაეთანხმოთ პრეზიდენტის მსჯელობას „ხუთეულის“ სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებაზე, შეიკრიბონ, ილაპარაკონ და შეთანხმდნენ ნებისმიერი ერთობლივი ინტერესის თაობაზე (ლაპარაკია სტამბოლის შეხვედრაზე ამ ცოტა ხნის წინ). უდავოდ მართალია პრეზინეტი იმაში, რომ „აბრეშუმის გზის“ გაჭრა რეგიონის **ყველა** ქვეყნის ინტერესია, და იმაში, რომ საქართველოს არსებული ხელისუფლება აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. ასევე უდავოდ მისასალმებელია „შევრონთან“ შეთანხმება კასპიის ზღვიდან ხაშურამდე ახალი ნავთობსადენის გამოყვანის შესახებ. ამ ჭეშმარიტებათა ხსენებას მხოლოდ იმის აღნიშვნა აკლია, რომ ნავთობსადენთა შემოსავალი ოდნავადაც კი ვერ გადაფარავს იმ ასტრონომიულ საგარეო ვალს, რაც საქართველოს **უკვე** დაედო ცუდი მართვის შედეგად და იმისა, რომ ეს შემოსავალი, ხელისუფლების არსებული სტრუქტურის პირობებში, ე. წ. „მმართველი ელიტის“ ჯიბეს მოჰხმარდება მთლიანად და არა სახელმწიფოს ფეხზე დაყენებასა და გაჯანსაღებას.

არა მხოლოდ მართალია, არამედ არსებითიცაა და **ძალიან** არსებითიცაა პრეზიდენტის მიერ გამოთქმული ზრახვა, რომ პრიორიტეტულ ამოცანად დადგეს „კომპიუტერის ქართულად ამეტყველება“. მართლაც უახლოეს მომავალში მკვეთრი ხაზი გაივლის საკომპიუტერო დამუშავებულ, ანუ თანამედროვე ცივილიზაცის წევრ ენებსა და ამ მიზნისთვის ვერდამუშავებულ ენებს შორის. მართებულია უდავოდ პრეზიდენტის პოზიცია, როცა სერგეევის განცხადებასთან დაკავშირებით ლაპარაკობს რუსეთის დიდ მატერიალურ ვალზე საქართველოს წინაშე, აგრეთვე აღნიშნავს, რომ საქართველო არ სთხოვს რუსეთს ჯარების დატოვებას. (თუმცა იმის ართქმა, რომ საქართველოში **დაუშვებელია** რუსეთის ბაზების არსებობა, რეალური ვითარების დამახინჯების ტოლფასია).

**პრეზიდენტი ცდება**

პრეზიდენტი ცოტა არ იყოს რთულ სფეროში იჭრება და ტერმინს „ფუნდამენტალიზმი“, რომელსაც იგი ძალიან ზერელე თუმც მოდური პოზიტივისტური ტენდენციის შესაბამისად, რომელიც არსებობს აკადემიურ და არააკადემიურ წრეებში, — ბრალდებად უყენებს ყოველსავე ეროვნულს — გრძნობას, ცნობიერებას, ზრახვას, მიზანს თუ პოლიტიკას. ფუნდამენტალიზმი პოლიტიკაში არის ორიენტაცია „ძირისეულზე“, ნაანდერძევზე, ტრადიციულზე, უძრავზე, უცვლელზე, რაც იწვევს უმართებულო კონსერვატიზმს, სტაგნაციას, ახალთან შეურიგებლობა-შეუწყნარებლობას და, როგორც შედეგი — სხვა „ფუნდამენტის“ მქონე საზოგადოებებისადმი შეურიგებლობას. ამიტომ „მემარცხენე ფუნდამენტალიზმი“, რომელსაც პრეზიდენტი ახსენებს, **შეუძლებელია** (მას ალბათ უნდოდა ეთქვა „მემარცხენე რადიკალიზმმა“). ასევე ეშლება მას, როცა ფიქრობს, რომ „დემოკრატია“ და ტერორიზმი შეუთავსებელია (შეუთავსებელია ტერორიზმი და კანონიერება, თორემ დემოკრატიულ მოძრაობათა ტერორისტულ აქტებს ვინ მოთვლის!). ეშლება იმიტომ, რომ სიტყვა „დემოკრატიაში“ დებს მხოლოდ იმ ქებით შინაარსს, რომლითაც იგი დღეს ხშირად იხმარება (მაგრამ არა ყოველთვის), და არა მის სრულ მეცნიერულსა და პოლიტიკურ შინაარსს. არაჭეშმარიტი წანამძღვრებიდან მხოლოდ არაჭეშმარიტი დასკვნა გამოიყვანება და ამიტომ „ფუნდამენტალიზმმზე“ მსჯელობის საფუძველზე ქართველ „რადიკალ“ პარტიოტთა გაშმაგებული ლანძღვა-გინებაც პრეზიდენტის ინტერვიუში აზრს მოკლებულია. ასევე ეშლება მას — უთუოდ თემის სირთულის გამო — როცა „ჭეშმარიტების“ საკითხზე მსჯელობას და შემდეგ წერს:

„არ მინდა ვთქვა, რომ ექსპრეზიდენტის მიმდევართა შორის არ არიან პატრიოტები, სახელმწიფოსათვის გულშემატკივარი ადამიანები, რომელთაც მართლა უყვართ სამშობლო და მათთვის არ არის უცხო სულიერი, ზნეობრივი ლტოლვა სიმართლისაკენ, როგორც მათ ესმით ეს სიმართლე. მაგრამ ისინიც დამეთანხმებიან და უნდა დამეთანხმონ, რომ არ შეიძლება ჭეშმარიტება იყოს ორი და სამი, ჭეშმარიტება ღმერთივით ერთია, ერთიანია და განუყოფელი“.

„ჭეშმარიტება“ რომ „ერთია“, ეს მეცნიერების სფეროში უკომენტაროდ მხოლოდ ყველაზე გულუბრყვილო რეალისტებსა და ე. წ. „კრიტიკამდელ“ პოზიციაზე მდგომ თეორეტიკოსებს თუ სჯერათ, ადამიანური ურთიერთობების, ზნეობის, სოციალობის, პოლიტიკის სფეროში კი — მხოლოდ მარქსისტ დოგმატიკოსებსა და მათ მსგავსებს. ადამიანური ჭეშმარიტება და, კერძოდ, პოლიტიკური ჭეშმარიტებაც რომ „ერთი“ იყოს, მაშინ არ შეიქმნებოდა ტრაგედია, (იარსებებდა მხოლოდ კომედია და, ბევრიბევრი, დრამა), არ იქნებოდა ამოუხსნელი პრობლემები ეთიკაში, არ იქნებოდა, საერთოდ, ძიება ადამიანის აზრისა და გრძნობის უსასრულოდ ღრმა და ფართო ოკეანეში. დღევანდელი ხელისუფლების მოწინაალმდეგეთა მსჯელობაში რომ ჭეშმარიტება **არის** — და ამ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ამ ხელისუფლების კატასტროფულ შეცდომათა და დანაშაულთა კონსტანტაცია — ეს ხომ უდავოა. მაგრამ ეს რომ არ არის **ერთადერთი** ჭეშმარიტება, რომლის დანახვა დღევანდელ რთულ ვითარებაში ძალგვიძს და გვმართებს, ესეც ცხადია. სახელდობრ, ჭეშმარიტებაა ისიც, რომ სახელმწიფოში ქაოსი ყველა საშუალებით უნდა ავიცილოთ, მათ შორის — არსებულ ფაქტობრივ ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვით და კანონიერების წმინდად დაცვით. ასე რომ ერთადერთი სწორი ლოგიკა, რომლითაც უდავოდ ცუდ ხელისუფლებას შეუძლია თავის მოწინაალმდეგე გულმხურვალე მოქალაქეს მიმართოს, ესაა: ერთ ნავში ვსხედვართ. ამ ნავში ჩვენი ქვეყნის ბედის გასაღები დევს და მოდით ერთმანეთს დროებით მოვუთმინოთ, რათა ნავი არ გადავაბრუნოთო.

ასეთი შეცდომა, პრეზიდენტს რომ ამჯერად მოსდის — ჭეშმარიტება ერთია და მას მე ვფლობ — **სახიფათოა.** იგი ფანატიზმის ყველაზე ჩვეულებრივი წყაროა, ფანატიზმი კი, ჯამში, სიბრმავეს და სისხლისღვრას შობს:

**პრეზიდენტი მართალს არ ამბობს**

ამჯერად პრეზიდენტი საქართველოს ცხოვრების ყველაზე მწვავე მხარეს — საქართველოში პოლიტიკური პოზიციებისა და თვალსაზრისების დაპირისპირებას ანუ ჩვენს ქვეყანაში მამულიშვილობისა და კოლაბორაციონიზმის, ანუ ერთგულებისა და მტრის სამსახურში დგომის ურთიერთდაპირისპირებას შეეხო. ამიტომ ჩვენი კომენტარის ეს სვეტი, ალბათ, არაპროპორციულად გრძელი იქნება. მან შეიძლება რადიოინტერვიუს პირველი მონაკვეთის თითქმის მთელი ტექსტის ციტირებაც მოითხოვოს. პრეზიდენტის ბრძანებს:

„— როდესაც მე ჩემი მეგობრების, თანამოაზრეების, ქართველი ერის თვალსაჩინო წარმომადგენლებისა და ფართო საზოგადოებრიობის თხოვნით და საკუთარი მტკიცე გადაწყვეტილებით 1992 წელს დავბრუნდი საქართველოში, ჩემს სამშობლოში, აქ შეურიგებელი, საყოველთაო უნდობლობის ატმოსფერო იყო გამეფებული“.

მართალია პრეზიდენტის „მეგობრებისა და თანამოაზრეების“ შესახებ ვერ ვიმსჯელებთ, რადგან მათ არ ვიცნობთ და მათი ქცევა 1992 წლის მარტში არ ვიცით. მაგრამ რაც შეეხება „ქართველი ერის თვალსაჩინო წარმომადგენლებს“, მათ შორის არავინ ვიცით, ბატონ ჯაბა იოსელიანის გარდა, რომელსაც ბატონ ე. შევარდნაძისათვის საქართველოში ჩამოსვლა და, მით უმეტეს, ქვეყნის გაძღოლა ეთხოვოს. ასეთი „თვალსაჩინო წარმომადგენლების“ თხოვნა, თუკი იგი არსებობდა კიდეც, იურიდიულად ისეთივე არალეგიტიმური აქტი იქნებოდა, როგორც „შულავერის მთავრობის“ სახელით ცნობილი ნაძირალა კომუნისტური ბანდის თხოვნა საბჭოთა რუსეთისადმი 1921 წელს, რომ საქართველოს „პროლეტარიატს“ იარაღით დახმარებოდნენ. თუმცა შევარდნაძე ჩამოვიდა მხოლოდ **მას შემდეგ,** რაც მოხდა კანონიერი ხელისუფლების იარაღით დამხობა უცხო აგენტურის დახმარებით, ამ არსებით განსხვავებას 1921 წელსა და 1991-92 წლებს შორის, შევარდნაძის როლის თვალსაზრისით, სავსებით აბათილებს ის ფაქტი, რომ შევარდნაძემ ჩამოსვლისთანავე საჯაროდ „მადლობა“ გადაუხადა (ვისი სახელით?) გადატრიალების მომწყობთ, რომელთაც მან — არ ვიცით, რატომ — ზედ მიათვალა ქართველი ერის წმინდა ფენა — „ინტელიგენცია“ და არა „ინტელიგენციის დანაშაულებრივი ნაწილი“, უცხოეთში თავისი ქვეყნის წინაალმდეგ შეთქმულების მხლართავი, როგორც ამას ტერმინოლოგიური სიზუსტე მოითხოვდა. რაც შეეხება „ფართო საზოგადოებრიობას“, მისი ნების გამოხატვას აქვს თავისი კარგად ცნობილი დემოკრატიული მექანიზმები. ასე რომ, დებულება, თითქოს შევარდნაძე საქართველოს მმართველად სხვა ძალამ მოიწვია, გარდა ჯაბა იოსელიანისა და ხიშტიანი ან უხიშტო კანონსაწინაალმდე-

გაგრძელება მესამე გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შიდსი საქართველოს ციხეებში! შიდსი ქალთა კოლონიაში! ანუ რა მოვისმინე ელენე თევდორაძის კაბინეტში

მეორე გვერდიდან

ფასება?

— მე მინდა გითხრათ, რომ როდესაც საუბარი იყო სტაბილიზაციის შესახებ, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში მე სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი. უნდა დასრულდეს იმით „ტრაბახი", რომ იარაღიანი ხალხი არ ჩანს ქუჩებში. ეს აღარაა საკმარისი. თუმცა ყველაფერი შედარებითია. იმასთან შედარებით, რაც იყო, სტაბილიზაცია ნამდვილად არის, მაგრამ ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების წინამძღოლების თავდაჯერება, უშფოთველობა, სერიოზულად მაღელვებდა. ჩვენ გვეუბნებოდნენ: იძინეთ ტკბილად, ყველაფერი რიგზეა, ჩვენ არაფერი გამოგვეპარება. სწორედ ეს იყო ჩემი შინაგანი მოუსვენრობის საბაბი. მე ვთვლი, რომ სწორედ ამ თვითდაჯერებამ წარმოშვა და ხელი შეუწყო 9 თებერვლისა და 19 თებერვლის ტერაქტებს.

**— ქ-ნო ელენე, სულ ცოტა ხნის წინ ბ-ნმა მამუკა გიორგაძემ პირდაპირ და ძალზე უშუალოდ იკითხა: „ვარდიკო ხომ არ მოგვეხსნა? თქვენ როგორ ფიქრობთ, არის თუ არა მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები ძალოვან სტრუქტურებში და თუ ეს აუცილებელია, მოიტანს თუ არა ეს ცვლილება რაიმე სასიკეთოს, თუ სტრუქტურა ისევ ის დარჩება, რაც აქამდე იყო?**

— თქვენ სწორად შენიშნეთ, შესაძლოა ერთი პიროვნების შეცვლამ ვერ შეცვალოს სტრუქტურა, რადგან იგი იმდენადაა კორუმპირებული, რომ ერთი კაცი ნაკლებად შეძლებს რაიმეს, თუმცა მე ვთვლი, რომ პიროვნებაზე მაინც ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული. მე არ მსურს ვინმეზე კონკრეტულად ვისაუბრო. მე ზოგადად ვამბობ ძალოვანი სტრუქტურები კორუმპირებულია. კაცი, რომელიც საკუთარი კეთილდღეობისათვის იბრძვის, ნაკლებად აინტერესებს კანონი და პირადი ბიზნესი ან „წილი" მისთვის უფრო საინტერესოა, ვიდრე სამსახური. ხელფასები ძალიან დაბალია და ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ძალოვან სტრუქტურებში ასეა ფესვგადგმული კორუფცია.

### დავხუროთ თუ არ დავხუროთ, საკითხავი სულაც არ იყო

**— სულ რამდენიმე დღის წინ ჩატარდა სამთავრობო საათი და სხდომა რატომღაც დაიხურა, რამაც ბევრის გაოცება გამოიწვია. თქვენ რას იტყოდით, რა ითქვა სხდომაზე ისეთი, რაც მტერმა არ იცოდა?**

— მე, პირადად დახურვის წინააღმდეგი ვიყავი, ხმაც საწინააღმდეგოდ მივეცი. რადგან ვთვლი, რომ დეპუტატებსაც და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებსაც გვყოფნის პროფესიონალიზმი, რომ არ ვისაუბროთ იმ საკითხებზე, რაზეც ხმამაღლა არ შეიძლება ითქვას. მიუხედავად იმისა, რომ სხდომა დახურული იყო, მეორე დღეს ინფორმაცია სრულად გავიდა გაზეთებში, ყველამ ყველაფერი იცოდა. დეპუტატები კითხვას სვამდნენ, შემდეგ გარბოდნენ გარეთ და ჟურნალისტებს აწვდიდნენ ინფორმაციას. ზოგი მათგანი კითხვაზე პასუხსაც არ ელოდებოდა.

ძალიან კარგია, რომ საქმე გახსნილია (იგულისხმება ტერაქტი) ძალიან მოკლე დროში, მაგრამ არ უნდა მოხდეს ისე, რომ ის „წვლილი", რომელიც ტერაქტების სერიის განხორციელებაში მიუძღვით ჩვენს ძალოვნებს, გაბათილებულ იქნეს ამით.

რაც შეეხება ვარდიკოს და ქართულ ჯარს, რაც დღეს ხდება არ უნდა ხდებოდეს. მე ჯარზე ვფიქრობ და არა ვარდიკოზე. დღეს თუ ხვალ ჩემი შვილიშვილიც უნდა წავიდეს ჯარში. მე ვიყავი ორ კოლონიაში, სადაც 150 დეზერტირია და საშინელი სურათი ვიხილე. მე დავაყენებდი საკითხს ასე: რატომ არ გადაიკეტა ვაზიანის აეროდრომისაკენ მიმავალი გზა და იძიება თუ არა კორდონის ფაქტი. რაც შეეხება ამ უკანასკნელ ინფორმაციას, ჩვენმა საზოგადოებამ უკვე მიიღო.

**— ქ-ნო ელენე, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოსალოდნელია პრეზიდენტზე ახალი თავდასხმის განხორციელება, რას იტყოდით ამის შესახებ?**

— როდესაც ეს ინფორმაცია მე ვთქვი, აღმოჩნდა, რომ „ძალოვანებმა" ეს უკვე იცოდნენ და დახურულ სხდომაზე არავინ უარყო, მეტსაც გეტყვით, დაასახელეს თვეც. ეს უკვე კარგია.

### „მე, საგარეჯოს კოლონიიდან ავადმყოფი დავბრუნდი"

**— საყოველთაოდ ცნობილია ის**



**ფაქტი, რომ სასჯელის მოხდის ადგილებში ძალზე მძიმე მდგომარეობაა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საგარეჯოს კოლონია, სადაც რეციდივისტები იხდიან სასჯელს. რა მდგომარეობაა იქ?**

— მე ვიყავი საგარეჯოში, ვნახე ყველაფერი და იქიდან ავადმყოფი დავბრუნდი. ენით აუწერელი საშინელებაა. ბეტონის კამერები, არ არის შუქი, საჭმელი მზადდება შეშაზე (თუ არის შეშა). პატიმრები რუსეთში გადაყვანას თხოულობენ (როგორც ეს ადრე იყო). საგარეჯოს კოლონიის ხელმძღვანელობა დამეთანხმა იმაზე, რომ მზად არ იყვნენ პატიმრების მისაღებად.

**— გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ თენგიზ კიტოვანის ავადმყოფობა სიცრუეა და ის მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ იგი ვადამდე განთავისუფლდეს. თქვენ რას იტყოდით?**

— ეს სიცრუეა. კიტოვანის ავადმყოფობა არ არის მოჩვენებითი. გედი გელბახიანმა, რომელიც მასთან იხდის სასჯელს და როგორც ცნობილია, კარგი ექიმია, მითხრა: „ქალბატონო ელენე, თენგიზი ვარჯიშობს და ეს ვარჯიში ცუდად დასრულდებაო". მართლაც, ახდა ბ-ნი გედის სიტყვები. კიტოვანმა გადაიტანა გულის რამოდენიმე შეტევა. მისი მდგომარეობა მძიმეა და სერიოზული. რაც შეეხება მის ვადამდე გათავისუფლებას, ეს თითქმის შეუძლებელია, რადგან იგი იმ ნუსხაში ვერ მოხვდება, ვისაც ეკუთვნის ვადამდე გათავისუფლება. კიტოვანი კი პრეზიდენტს შეწყალებას არ სთხოვს.

### „ამ ფაქტის კომენტარისაგან თავს ვიკავებ"

**— ქ-ნო ელენე, მე ბოდიში მინდა მოგიხადოთ და გითხრათ, რომ უნებლიეთ მოვუსმინე თქვენს საუბარს ბ-ნ ავთანდილ ჯორბენაძესთან. (თვითდარწმუნება ზოგჯერ საჭიროა, დავასახელე ჯანდაცვის მინისტრის გვარი იმის გამო, რომ გადამემოწმებინა ჩემი ეჭვი). როგორც დავრწმუნდი ,საუბარი იყო საქართველოს ციხეებში შიდსის გავრცელების შესახებ. მართლაც ორი ავადმყოფი და ორმოცამდე ვირუსმატარებელია?**

— მე ამ ფაქტის კომენტირებისაგან თავს ვიკავებ.

**— გმადლობთ, ქ-ნო ელენე.**

— თქვენც გმადლობთ.

P.S. *ქ-ნ ელენეს თავშეკავებამ ჩვენს უკანასკნელ კითხვაზე, გაეკეთებინა კომენტარი, საბოლოოდ დაგვარწმუნა იმაში, რომ შიდსის გავრცელების ფაქტს მართლაც აქვს ადგილი ციხეებში და ქალთა კოლონიაში. თუ რამდენი შემთხვევაა, ამას ალბათ მოგვიანებით დავადგენთ.*

**ანა ჯულელი**

# ოთხშაბათის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

მეორე გვერდიდან

გოდ მოქმედი ვიწრო ჯგუფისა, სიცრუე გახლავთ.

გავყვეთ ტექსტს. პრეზიდენტი ბრძანებს: „ყველას გვახსოვს ის საზარელი პერიოდი, როცა თითქოს ჰაერიც კი გაჟღენთილი იყო სიძულვილით, შხამით, ბოღმით, მძვინვარე ფანატიზმით. სამწუხაროდ, ამ დროს საქართველოში რეალურად არსებობდნენ ძალები, რომელთა შერიგებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთელი ჯანსაღი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ძალების უპირველეს ამოცანად მე სწორედ შერიგება მივიჩნიე".

გამოთქმები „შხამი", „ბოღმა", „სიძულვილი" არაიურიდიული და არაპოლიტიკური შინაარსისა გახლავთ. ვის მიეყენება ეს გამოთქმები — იმას, ვინც იარაღით დაამხო კანონიერად არჩეული ხელისუფლება, მის მომხრეთა წამება შემოიღო, მომიტინგეები დახვრიტა ან ყოველივე ამის ჩამდენთ „მადლობა" გადაუხადა, თუ ამ მოქმედებებზე რეაგირების მომხდენთ, ამას მკითხველი თვითონ განსჯის. მაგრამ სიტყვა „ფანატიზმი" კი კონკრეტული სოციალურ-ფსიქოლოგიური და პოლიტიკური შინაარსით დატვირთული სიტყვაა. ფანატიკოსი არის ის, ვინც სიყვარულით, სიძულვილით, წადილით ან უნდობლობით არის მოცული ფაქტებისა და ლოგიკის წინააღმდეგაც კი. იმათ, ვინც კანონიერი ხელისუფლების დამამხობელთ და მათთვის „მადლობის" მთქმელს საქართველოს მტრებად თვლიდა და თვლის, თავისი ლოგიკა და მის საყრდენად თავისი ფაქტები **აქვთ** (და მათ ფაქტებით დღემდე ვერავინ შეეკამათა). იმათ, ვინც შევარდნაძეს და მის გუნდს საქართველოს პოტენციურ გადამრჩენებად ან თუნდაც მისთვის დღემდე უწყინარ (ვნების არმომტან) ფიგურებად თვლის, პირიქით, ასეთი ფაქტები **არა აქვთ.** მაშ ვისი პოზიციაა „ფანატიკური"? იმისი, ვინც **თვალხილულადაა** აღშფოთებული ჯერ „სამხედრო საბჭოს", შემდეგ კი შევარდნაძის უსარგებლო (და, როგორც ვთქვით, მრავალ განზომილებაში მავნე) პოლიტიკით, თუ იმისა, ვინც, მიუხედავად ფაქტებისა, კიდევ შევარდნაძის, როგორც მხსნელის, რწმენას ინარჩუნებს? ცხადია, მეორის!

შემდეგ რადიოინტერვიუში ვკითხულობთ: „მათთან (ლაპარაკია „ზვიადისტებზე") ერთად განვსაზღვრე ეს კურსი — შერიგების კურსი, რომელსაც დღემდე განუხრელად ვახორციელებდი და ვახორციელებ ჩემს თანამოაზრეებთან ერთად, რათა შერიგებოდა ძმა — ძმას, შვილი — მამას, სოფელი — ქალაქს, კუთხე — კუთხეს და ასე შემდეგ. აღარ გავაგრძელებ, ყველას ყველაფერი კარგად გვახსოვს, — როგორ მოუწოდებდნენ ხალხს არა სიყვარულის, არა თანადგომისათვის, არამედ სიძულვილისათვის, ვიმეორებ, ფანატიკური, შეურიგებელი მძვინვარე სიძულვილისათვის".

ეს ყველაზე დიდი ტყუილი გახლავთ. რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს სათავეში შევარდნაძის დადგომიდან სულ რამდენიმე კვირის განმავლობაში „განისაზღვრა" არა „შერიგების კურსი", არამედ ყოვლად ბარბაროსული, სულელური და ყაჩაღური „ლაშქრობა" დას. საქართველოს დაბა-ქალაქებში, რამაც მართალაც ფუნდამენტურად მოურღვია ზურგი აფხაზეთის ომს (ალბათ, უკვე ჩაფიქრებულს) — განისაზღვრა ისე, რომ „შერიგების" არავითარი წინასწარი მცდელობა არ მომხდარა. ამგვარად, „შერიგების" კურსი, რომელზეც პრეზიდენტი ლაპარაკობს, სინამდვილეში სხვა არა იყო რა თუ არ უკვე მომხდარ და მოსახდენ სისხლიან ამბებში საკუთარი და საკუთარ კრიმინალურ მოკავშირეთა დანაშაულის მიჩქმალვის, მისი შენიღბვისა და „ჩამოწერის" კურსი.

პრეზიდენტი რომ ცნებას „ფუნდამენტალიზმი" სრულებით არასწორად ხმარობს, ამაზე უკვე გვქონდა მსჯელობა, მაგრამ ვის და რას გულისხმობს ამ საძულველ სიტყვაში, დაახლოებით გასაგებია. პრეზიდენტი ბრძანებს: „ნურავის ნუ ჰგონია, რომ ფუნდამენტალიზმის საფრთხე სადღაც ცხრა მთას იქით არის და არა — ჩვენში ფუნდამენტალიზმი, რომელსაც არ სურს და იქნებ არც ძალუძს შეურიგდეს ახალ რეალიებს, დროის, ეპოქის მოთხოვნას. სწორედ ამ რადიკალ-ფუნდამენტალისტებმა მოუტანეს ჩვენს ქვეყანას 1988-89 წლებიდან მოყოლებული ყველა ის უბედურება, ჩვენმა პატარა ერმა რომ გადაიტანა.".

ამ ციტატიდან ცხადი ხდება, რომ სიტყვაში „ფუნდამენტალიზმმა" პრეზიდენტი (არასწორად) გულისხმობს შეგნებულ ეროვნულ პოზიციას ანუ პატრიოტიზმს, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ — იმ მსოფლმხედველობას, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველო საქართველოდ დარჩება და უნდა დარჩეს, სომხეთი — სომხეთად, საფრანგეთი — საფრანგეთად და ა. შ. და რომ ეს ეროვნული ქვეყნები, იგივე — ეროვნული სახელმწიფოები — ისევ ასეთებად დარჩება განჭვრეტადი ისტორიული მომავლის მანძილზე იმის ნაცვლად, რომ ინდივიდთა (ამ ერთეულების მოქალაქეთა) სააქციონერო საზოგადოების მსგავს ზედაპირულ სახელშეკრულებო გაერთიანებად იქცეს. ისეთი თვალსაზრისი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი გამოთქვამს, დიაღაც არსებობს (აკადემიურ წრეებში უფრო, ვიდრე რეალურ პოლიტიკაში) და იგი, ბუნებრივია, განსაკუთრებით მიმზიდველია კომკავშირულ-ინტერნაციონალისტური წარსულის მქონე პრეზიდენტისათვის. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ-ერთი თვალსაზრისია მრავალთა შორის და არა ერთადერთი. მისი შეთავაზება რადიო მსმენელისთვის,

გაგრძელება მეოთხე გვერდზე

# ოთხშაბათის კომენტარი ორშაბათის რადიოინტერვიუზე

მესამე გვერდიდან

როგორც ერთადერთისა, მსმენელის დეზინფორმირებას ნიშნავს. პრეზიდენტის მიერ 1988-89 წლების აუგად ხსენება კი — მკითხველმა გვაპატიოს პირდაპირობა — ისეთივე სიძულვილით სუნთქავს (სავსებით **გასაგები** სიძულვილით ყოფილი ცკ მდივნის მხრიდან), როგორც გამოთქმა „ეროვნულ-დამანგრეველი მოძრაობა", რომელიც მას არაერთხელ უხმარია მიუხედავად იმისა, რომ აუდიტორიამ კარგად იცის, **ვინ** ხელყო საქართველოს ტერიტორია, **ვინ** დაამშია საქართველოს მოსახლეობა, **ვინ** დაადო მას ვალად ორი მილიარდი დოლარი და ასე შემდეგ. რალა თქმა უნდა, ზემოთ ციტირებულის ფონზე დამაჯერებლად არ გამოიყურება პრეზიდენტის სულგრძელი განცხადებაც, რომელშიც იგი საქართველოს მოსახლეობას დღევანდელი რეჟიმის „დემოკრატიულობას" აყვედრის.

„რწმენისათვის, ამა თუ იმ პიროვნების თაყვანისცემისათვის ჩვენ არავის ვსჯით, არავის ვედავებით და ჩვენ შეგვიძლია მათთან ვითანამშრომლოთ".

სწორი იქნებოდა ეთქვა **„ვერავის** ვსჯით, რადგან მსოფლიო ამის ნებას არ გვაძლევს", თორემ ეს ფაქტორი რომ არა, მაშინ ვინ დაიჯერებს, რომ საქართველოში მისხლისოდენა დემოკრატია მაინც გაიხარებდა!

ჩვენი კომენტარის ამ, სამწუხაროდ, გრძელ სვეტს ერთი პუნქტიც უნდა დავუმატოთ. ზემოთ ციტირებული ყალბი დებულებები რომ ობიექტური ლოგიკური განხილვით არ **მართლდება,** ეს **კარგია,** რადგან მათი გამართლება საქართველოს განწირულობის ტოლფასი იქნებოდა. მაგრამ რადიოინტერვიუში არის კიდევ ერთი ნიხადადება, ოოძლის სიყალბეც ძალიან სავალალოა. პრეზიდენტი ბრძანებს: „არ დავუშვებ საქართველოში ტერორისტთა თარეშსა და ქვეყნის სტაბილურობის ხელყოფა. ამისათვის გამოვიყენებ კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას, მათ შორის, ძალასაც, როგორც ეს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ხდება."

ყველაზე ულმობელსა და დიდმასშტაბიან „ტერორისტულ" ძალასთან, რომელიც ჩვენს ქვეყანას კატასტროფის მდგომარეობაში აქცევს და მოქცეულიც ჰყავს — აფსუა და ოს სეპარატისტებთან და მათ უკან მდგომ იმპერიასთან — ჩვენი ქვეყანა, მისი უძლური პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, მიწაზე გაგებულია და ენით მტვერს ლოკავს. რა ფასი აქვს ამ პირობებში ფუჭ სიტყვიერ ქადილს, ამის გადაწყვეტაც ისევ მკითხველს მივანდოთ.

**შემატკივარი**

# საქართველოს სტუდენტობა თავისუფალი აზრის დასაცავად

**საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს**

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ზურაბ ჟვანიას**

ჩვენ, ქართველი სტუდენტები აღშფოთებულნი ვართ ხელისუფალთა მხრიდან ტელეკომპანია „კავკასიის" მიმართ წამოწყებული დევნა-შევიწროების კამპანიით; მსგავსი ქმედებებით უხეშად ირღვევა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უფლებები. მოვითხოვთ ტელეკომპანია „კავკასიას" შეუნარჩუნდეს მისი კუთვნილი არხი და დაუყოვნებლივ აღიკვეთოს თავისუფალი აზრის დევნის ყველა სხვა შემთხვევები საქართველოში. უკიდურეს შემთხვევაში სტუდენტობა იტოვებს უფლებას კანონის ფარგლებში დაიცვას ცივილიზებული მსოფლიოს მიერ აღიარებული დემოკრატიული ფასეულობები.

გთხოვთ ანგარიში გაუწიოთ სტუდენტი-ახალგაზრდობის აზრს და შეცვალოთ მიღებული გადაწყვეტილება.

**სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფი**

# „დიდი შერიგება" ნემო ბურჭულაძესთან წინასწარ დაგეგმილი სცენარის ერთ-ერთი დიდი ნაწილია

10 მარტს სრულიად საქართველოს ილია მართლის საზოგადოებამ პრესკონფერენცია გამართა. პრესკონფერენციაზე სიტყვით გამოვიდნენ საზოგადოების გამგეობის წევრები: გია ჩხიკვაძე, მაუგლი ჩხიკვაძე, ოთარ კევლიშვილი, ზაზა დავითაია, ილია მართლის საზოგადოებამ მრგვალი მაგიდის პრესკონფერენციის მერე საჭიროდ და აუცილებლად ჩათვალა თავისი პოზიცია უფრო კონკრეტულად დაეფიქსირებინა. ბ-ნ გია ჩხიკვაძემ გააცნო პრესის წარმომადგენლებს წერილი, სადაც ჩამოყალიბებული იყო მათი პოლიტიკური პოზიცია მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. მათი აზრით „დიდი შერიგება" ნემო ბურჭულაძესთან წინასწარ დაგეგმილი სცენარის ერთ-ერთი დიდი ნაწილია, 9-19 თებერვლის ტერაქტები კი სწორედ ამას ისახავდა მიზნად. ისინი ამბობენ, რომ დიდი პოლიტიკოსის საქართველოში ჩამოყვანას საფუძვლად ედო საქართველოში კავკასიის ჟანდარმის როლის შესრულება ქართველი ერის საწინააღმდეგოდ, რასაც მან მეტნაკლებად მიაღწია. მათი თქმით 9-19 თებერვლის ტერაქტები შევარდნაძის დაცვის მიზნით გათამაშებული უშედეგო სცენები იყო. არ გამორიცხავენ უახლოეს მომავალში კვლავ მასშტაბითა და ფორმის სრულიად განსხვავებული მზაკვრული სპექტაკლების გათამაშებას. 9-19 თებერვალის გათამაშებული სპექტაკლის უმთავრესი მიზანი იყო, რომ შევარდნაძე წარმოჩენილიყო რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლ გმირად. 19 თებერვალმა, მათი აზრით, ფსევდო-ზვიადისტები რიგრიგობით ამოატივტივა სცენაზე. რაც შეეხება უკანონო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელთან შეხვედრის მონაწილეთა ჯგუფს: ბურჭულაძე, ოჩიაური, ანდღულაძე, ჩხეიძე, ჩაჩავა კანონიერი ხელისუფლების



სახელით აშკარად ადასტურებს მათ ალიანსს და მათ უმთავრეს მიზანს. ამჟამად ე. წ. „დიდი შერიგების" გამოცხადება მხოლოდ და მხოლოდ უკანონობის დაკანონებისათვის სჭირდებათ, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება მორიგი ფსევდო არჩევნების დანიშვნას. მათ მთელი რიგი მიზეზები დაასახელეს, რომელთა მიხედვითაც, მათი აზრით კავკასიაში კრემლის მარიონეტულ მთავრობათა აღსასრული გარდაუვალია და თვლიან, რომ ახლოვდება ქართველი ერის ნების აღსრულების ჟამი...

მიუხედავად იმისა, რომ 9-19 თებერვლის სპექტაკლის ექო ჯერ არ მიწყნარებულა, ფიქრობენ, რომ დღის წესრიგში დადგა იგივე სპექტაკლის ახალი რაუნდი. ზაზა დავითაიამ ხმამაღლა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუკი ტერაქტი მართლა არის დაგეგმილი, უპირველეს ყოვლისა ინფორმაცია უნდა ჰქონდეს უშიშროების სტრუქტურებს და, რომ ამ შემთხვევაში მისი ხმამაღლა დეკლარირება კი არ უშველის საქმეს, არამედ საქმის ობიექტური გამოძიება, წარმოჩენა მოვლენებისა და იმ პროცესის განეიტრალება, რასაც ჰქვია ე. წ. სახელმწიფოს პირველ პირზე თავდასხმისა და მისი განადგურების მცდელობა. წმ. ილია მართლის საზოგადოების წარმომადგენლები თვლიან, რომ მომავალ ტერაქტზე ხმამაღალი ლაპარაკი არის ახალი მოქმედება იმ სპექტაკლისა, რომლის პირველი მოქმედება 9 თებერვალს დაიდგა, მეორე მოქმედება 19 თებერვალს და ვინ იცის კიდევ რამდენ მოქმედებას შეითავსებს ფაქტობრივი ხელისუფლება მისი არსებობის განმავლობაში. თუმცა ფიქრობენ, რომ მას დიდი დრო არ უწერია. მათი აზრით მშვიდობიანი გზით კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის მებრძოლი ორგანიზაციები თავიანთ მიზანს ალბათ უკვე მალე მიაღწევენ...

## მსოფლიოს გარშემო — მსოფლიოს გარშემო

### „კაპიტალური სასჯელი"

ეს სახელი სიკვდილით დასჯას ეწოდება. პირველი ქალი, რომელიც ამგვარად დასაჯეს 1998 წლის 3 თებერვალს 1983 წელს ჩადენილი მკვლელობისთვის ტექსასში 1863 წლის შემდეგ, და მეორე, რომელსაც ეს ბედი ეწია 1976 წლის შემდეგ. როცა აშშ უზენაესმა სასამართლომ აღადგინა სასჯელის ეს ზომა, კარლა ფეი ტაკერის სიცოცხლის სამი გზა არსებობდა...



სასჯელის ეს ზომა, კარლა ფეი ტაკისთვის სიცოცხლის სამი გზა არსენატორს ჯორჯ განაჩენის აღშეეჩერებინა 30 სასამართლოს შეეაჩენის გადასინჯვა აეს სასამართლოს აციის დაკმაყერთი არ მოხდა ისა, რომ კარლა სანიმუშო პატიმაში ყოფნისას სარმოიქცა და მის ოვდნენ აშშ-ს კაპოსები და პაპი 38 წლის იყო ერი. მისჯილშენარჩუნების ბობდა: გუბერბუშს შეეძლო სრულება დღით. ტეხასის ძლო მისი განდა აშშ უზენშეეძლო აპელოფილება. არც მიუხედავად იმეეი ტაკერი იყო ოი, პატიმრობამუნოებაზე შეწყალებას ითხთოლიკე ეპისკოიოანე პავლე II.

დღეს აშშ-ში სამი ათასზე მეტი სიკვდილმისჯილი პატიმარია და ეს რიცხვი იზრდება.

### ახალი ხიდი ბოსფორზე

იგეგმება ბოსფორის სრუტეზე მესამე ხიდის აგება. პირველი გერმანელებმა ააგეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მეორე — ცოტა მოგვიანებით — თურქებმა. მესამე ხიდი ახალი სიტყვა იქნება იმით, რომ მასზე რკინიგზაც გაივლის და ამგვარად, პირველად მოხდება პირდაპირი სარკინიგზო კავშირი ევროპასა და აზიას შორის.

### ვატიკანი ილაშქრებს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ

ვატიკანმა გამოუშვა ლათინურ ენაზე (რომელიც მისი ოფიციალური ენაა) „უნივერსალური კატეხიზმი", რომელიც ვატიკანის დღემდე გამოშვებულ დოკუმენტთაგან ყველაზე მეტად უახლოვდება სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების მოთხოვნას.

### საეჭვო გეოგრაფია

ამ ცოტა ხნის წინ ავსტრალიის ფედერალურმა პოლიციამ მელბურნში დააკავა 4,5 კგ სინთეტური ნარკოტიკი, რომელსაც მეტსახელად „ვარდისფერი ყინული" ეწოდება — სიდნეიში კი მან მანამდე 200 გრ. „თეთრი ყინულის" ამოღება მოახდინა. პოლიცია გაფრთხილებულია ყურადღება მიაქციონ ამ ახალ ნარკოტიკს, რომელიც ვარდისფერ, მწვანე ან ლურჯი ყინულის სახით მოდის. დღეს ეს ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ნარკოტიკია, იგი იწვევს მადის დაკარგვას, პარანოიას, გუნების ცვლილებებს, ჰალუცინაციებს, სხეულის ტემპერატურის მკვეთრ მომატებას, შემდეგ თირკმელებისა და ფილტვების საბედისწერო დაავადებებს და სისხლის ჩაქცევას. როგორც თვლიან, „ყინულის" წარმოება ხდება რუსეთში, ტაილანდში, ბირმაში და ჩრდ. ჩინეთში — ასე წერს „კანბერა ტაიმსი".

### პატარ-პატარა ჰიტლერები?

კანონი მთელის ძალითა და მონდომებით დევნის მკვლელობას ქვეყნის შიგნით, მაგრამ რა ვუყოთ, როცა თვით კანონი მკვლელის ხელშია, ისიც — მასობრიობის მოყვარული მკვლელის ხელში? ჟურნალს EIR მოჰყავს აფრიკელი „ჰიტლერების" სია, რომელთაც ამ საქმეში, სალდეისოდ განსაკუთრებული მიღწევები აქვთ. აი ზოგი მათგანი:

იოვერ მუსევენი, უგანდის პრეზიდენტია მას შემდეგ, რაც 1968 წელს კამპალა აიღო შეიარაღებული ძალით. ისწავლა დარეს სალამოს უნივერსიტეტში და დაიცვა დისერტაცია ძალადობის თეორიაზე და „მის გამართლებაზე განვითარებულ მოზამბიკში" რომელიც, მისი ამაყი განცხადების თანახმად ამასწინანდელ პრესკონფერენციაზე, მის მიერვე შემდეგ შექმნილა, რევოლუციური მოძრაობის ბირთვად იქცა და 1986 წელს ხელისუფლება აიღო. თავის თეორიულ ნააზრევში იგი ადიდებს ძალადობას, როგორც „პოლიტიკური ბრძოლის უმაღლეს ფორმას." მის მსხვერპლთა რაოდენობა, ჟურნალის ცნობით, ასიათასობით აფრიკელს ითვლის, ამათში ნახევარზე მეტს — ბავშვებს.

პაოლ კაგამე, რუანდის ვიცე-პრეზიდენტი და თავდაცვის მინისტრი. ერთ-ერთი საყრდენი „რუანდის პატრიოტული ფრონტის". რეჟიმისა, რომელმაც „ადგილობრივი და ამერიკული მონაცემებით, მხოლოდ რუანდის შიგნით ხელისუფლების აღებიდან (1994) დღემდე ერთ მილიონზე მეტი კაცი მოკლა. როგორც თვითონ განაცხადა „ვაშინგტონ პოსტისათვის" მიცემულ ინტერვიუში, მისი შესევა ზაირში 1996 წელს მიზნად ისახავდა „ლტოლვილთა ბანაკების დათრგუნვას", რამაც კიდევ 500000 კაცი იმსხვერპლა. იგი მუსევანის ყოფილი დაზვერვის უფროსია.

ლავრენტ დემირე კაბილა. „კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის" დიქტატორი, ხელისუფლებაში მოვიდა 1997 წელს რუანდისა და უგანდის ბატალიონების დახმარებით. რასაც ორი მილიონი რუანდელი ლტოლვილის დახოცვა ახლდა თან. მარქსისტ რევოლუციონერად მომზადდა ალბანეთში.

### რუსულ-ისლამური ბანკი

ასეთი ბანკი არსებობს. მისი ინვესტორები რუსეთის მთავრობის გარდა არიან საუდის არაბეთის მოქალაქენი, ქუვეითელები, კატარელები, სულანელები და ეგვიპტელები. ბანკი მუშაობს ისლამის პრინციპებით, ანუ არ იძლევა პროცენტებიან კრედიტს, რაც ისლამში დაგმობილია როგორც ცოდვა, არამედ თანხებს აბანდებს მხოლოდ პროექტებში მომავალ მოგებაში წილის მიღების პირობით. ერთ-ერთი პროექტი, რომელშიც ბანკი აქტიურ მონაწილეობას აპირებს, არის ცნობილი ბამი (ბაიკალ-ამურის სარკინიგზო მაგისტრალი).

უპირველესი ყურადღება ეთმობა ინვესტირებას სათავდაცვო ინდუსტრიაში, კოსმოსურ ტექნოლოგიაში, გემთმშენებლობაში, ინდუსტრიულ ეკოლოგიაში და ა. შ. გარდა იმისა, რომ რუსეთი იარაღის უდიდესი მომწოდებელია, განზრახულია იმის მიღწევა, რომ რუსეთში ისლამური ქვეყნების დიდი საინვესტიციო ბაზარიც დაინახონ.

### საკვებით გაჩენილი დაავადებები

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ცნობით, მკვეთრად გაიზარდა საკვებისაგან გამოწვეულ დაავადებათა რაოდენობა, მათი რაოდეგნობა ასობით მილიონს აღწევს, მათი გამომწვევია ძირითადად სალმონელათი, ბაქტერია კოლითა და ქოლერით ინფიცირებული საჭმელი. მილიონობით ადამიანი კვდება.

ერთ-ერთი უარყოფითი ფაქტორია რეფრიჟერაციის (გაციების პროდუქცია), მსოფლიო სისტემის უკმარისობა, აგრეთვე რადიაციის შემოწმების ტექნიკისა და პრაქტიკის ნაკლებობა. წელიწადში 1,5 მილიარდ ბავშვს ემართება ფაღარათი და 3 მილიონი იღუპება. ამათში მეტი წილის მიზეზად ითვლებოდა წყლის ინფიცირება. მაგრამ დღეს ირკვევა, რომ ამ რაოდენობის ძალიან მნიშვნელოვანი პროცენტი საკვებისგანაა.

საკვებით გაჩენილ დაავადებებს ოფიციალურ ანგარიშებში უფრო ხშირად მალავენ. განსაკუთრებით — განვითარებულ ქვეყნებში და განსაკუთრებით — მთავრობათა ანგარიშებში, რომელთაც ტურიზმის დაცემის ეშინიათ. უჩვენებენ რეალური რიცხვის მხოლოდ 1-10 პროცენტს. განვითარებულ ქვეყნებშიც კი საკვებით გამოწვეული დაავადებები ხშირია. ასე, აშშ-ში წელიწადში გვაქვს 3,3-12,3 მილიონი შემთხვევა 3-9 ათასი შემთხვევაში სიკვდილიანობით.

**ეირ**

### რუსეთის დემოგრაფიული პრობლემები

სტატისტიკით, 1997 წლის 1 ივნისისთვის მოსახლეობა იყო 147,3 მილიონი, ანუ წლის დასაწყისში 227 ათასით ნაკლები. დანაკლისი მეტი იქნებოდა, იმიგრაცია რომ არ ყოფილიყო. შობადობა 40%-ით ნაკლებია იმ დონეზე, რაც მოსახლეობის რაოდენობის უცვლელად შენარჩუნებას სჭირდება. მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიული კომისიის ლიდერის პროფ. რუბაკოვსკის თქმით, ბოლო 5 წელიწადში რუსულმა მოსახლეობამ 3,5 მილიონით ანუ 2,5%-ით იკლო. ქორწინებათა რიცხვმა 1997 წლის იანვარ-თებერვალში იკლო 4 ათასით (1,4%-ით), 1996 წლის ამავე თვეებთან შედარებით. 1000 ქორწინებიდან 768 გაყრით მთავრდება. ქმრების მიერ მოკლულ ცოლთა რიცხვმა წელიწადში 15 ათასს მიაღწია, რაც ყველა მკვლელობათა დაახლოებით ნახევარს შეადგენს.

# ისტორიული აფხაზები მეგრულად ლაპარაკობდნენ

როდესაც ეცნობი თანამედროვე აფხაზთა, იგივე აფსუა-აფხაზთა (იგივე აფსუები) ისტორიის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, უნებურად გიპყრობს მტანჯველი კითხვა — ისტორია ნუთუ მართლა მეცნიერებაა, ან უარეს შემთხვევაში გახსენდება ერთი ცნობილი პიროვნების ცნობილი გამონათქვამი — „ვაფურთხებ თქვენს ისტორიას", ერთხელ გაბრაზებულმა რომ წამოიძახა.

აფსუების შესახებ დაწერილ „ისტორიებში", რომელნიც „აფხაზეთის ისტორიისა" და „აფხაზთა ისტორიის" სახელითაა ცნობილი, იმდენი ულოგიკობა, უაზრობა და, რბილად რომ თქვათ, ზღაპარია გადმოცემული, რომ ისტორიისადმი, როგორც მეცნიერებისადმი, სრული უნდობლობა გიპყრობს, მიუხედავად, ჰეროდოტედან დაწყებული ივანე ჯავახიშვილამდე, დიდი ისტორიკოსებისადმი დიდი პატივისცემისა.

მოვუხმოთ ზოგიერთ „მარგალიტს" აფსუათა ისტორიიდან:

1) ძვ. წ. III ათასწლეულში არსებული ე. წ. მაიკოპური კულტურა მიჩნეულია აფხაზურ-ადიღეური (უფრო სწორი იქნებოდა ტერმინი — „აფსუურ-ადიღეური) მოდგმის ხალხების კუთვნილებად.

2) აფსუა ვაიმეცნიერთა მოსაზრებებით ბერძნების მითიური აიეტის კოლხეთი (ძვ. წ. XIV-XIII ს. ს.) ეკუთვნის აფსუებს.

3) ძვ. წ. XII-XI საუკუნეების ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის წარწერებში მოხსენიებული აბეშლას ტომი მიჩნეულია აფსუათა წინაპრად.

4) ქ. შ. I-II საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს — კოლხეთის ერთ-ერთ ნაწილში, რომელსაც მოგვიანებით აფხაზეთი ეწოდა, მცხოვრები ტომები აფშილები და აბაზგები მიჩნეული არიან დღევანდელ აფხაზთა (აფსუა-აფხაზთა) წინაპრებად.

5) აფსუებს მიეწერებათ მონაწილეობა ჩრდილო-კავკასიურ ეპოსში ნართების შესახებ.

6) მე-8, მე-10 საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში შექმნილი „აფხაზთა სამეფო" (და მისი მეფეები), რომლის დედაქალაქი იყო ქუთაისი, სახელმწიფო და საეკლესიო ენა ქართული, მიჩნეულია აფსუების კუთვნილებად.

7) აფსუებს მიაწერენ პირველი ანბანური დამწერლობის შექმნას.

8) აფსუების ენა ენათესავება პროტოხეთების ენას.

9) აფხაზი ხალხის ჩამოყალიბება ძირითადად VIII საუკუნისათვის, ხოლო კონსოლიდაციის პროცესი გრძელდება მე-18 საუკუნემდე და ა. შ. და ა. შ.

ეს მონაცემები აღებულია სხვადასხვა წყაროებიდან და საყოველთაოდ ცნობილია.

და ისინი მიეწერება ეთნიკურ ჯგუფს, რომელმაც მეოცე საუკუნის ბოლოს ქართული ეთნოსიდან მითვისებული 3/4-ზე მეტი შემადგენლობის წყალობით ძლივს მიაღწია 90 ათასს.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მსოფლიოს მოსახლეობა ახ. წ. I საუკუნისთვის ნავარაუდევია 200 მილიონის ფარგლებში, მაშინ თავად მკითხველმა განსაჯოს, რამდენი შეიძლება ყოფილიყვნენ აფსუები I საუკუნეში.

ასეთი პატივი და დიდება შუმერებსაც კი არ ღირსებიათ, რომელნიც მოვიდნენ, შექმნეს უმაღლესი ცივილიზაცია და კულტურა ლურსმული დამწერლობით და უპრეტენზიოდ წავიდნენ ასპარეზიდან.



და, აი, აფსუები კი თურმე 50 საუკუნეა მუხლჩაუხრელად იღწვიან ამ ასპარეზზე — ხან მცირე აზიაში, ხან ამიერკავკასიაში, ხანაც იმიერკავკასიაში და ქმნიან და ქმნიან ნაირ-ნაირ კულტურებს და ყოველივეს ამის შემდეგ არავის აკვირვებს ის გარემოება, რომ ამ „ყოვლისშემძლე" ეთნიკურ ჯგუფს გააფსუებულმა ქართველმა დიმიტრი გულიამ, სხვა ქართველთან ერთად, აგერ გუშინ შეუქმნა დამწერლობა და იგივე იყო მათი პირველი მწერალიც და კლასიკოსიც, რომელიც მიიცვალა 1960 წელს.

„მოსაზრებათა" ამ ვაკხანალიაში არავის აოცებს ის ფაქტი, რომ, ტომები, რომელნიც ძვ. წ. III ათასწლეულში ქმნიან ე. წ. მაიკოპურ კულტურას, მხოლოდ აგერ მე-18 ს-ში ძლივს ამთავრებენ კონსოლიდაციას.

ასეთი ერთმანეთის გამომრიცხავი პარადოქსებითა და ზღაპრებითაა სავსე ე. წ. „აფხაზეთისა და აფხაზთა ისტორია", რომელიც დღეს უკვე ყველასათვის ცნობილია, იწერებოდა და იწერება იმპერიული იდეოლოგიის ინტერესებიდან გამომდინარე და მათი კარნახით, რომელსაც მოტყუებული და გაბრიყვებული ამ პატარა ამბიციური ხალხის წყალობით უნდოდა და უნდა საქართველოს ერთ-ერთი თვალმარგალიტის — აფხაზეთის ხელში ჩაგდება და, რომელმაც ჯერ-ჯერობით კიდევაც მიაღწია საწადელს.

ხელოვნურად შექმნილ ამ ისტორიულ აბლაბუდას რომ საბოლოოდ მოეღოს ბოლო, უნდა დაისვას და პასუხი გაეცეს კითხვას — ბოლოსდაბოლოს რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ ისტორიული აფხაზები?

სამწუხაროდ, მრავალრიცხოვან სპეციალურ ლიტერატურაში ამ კითხვას ვერც დასმულს შეხვდებით და ვერც პასუხგაცემულს, რადგან იგულისხმებოდა და იგულისხმება, რომ ისტორიული აფხაზები მეტყველებდნენ ქართველურისაგან განსხვავებულ ე.წ. აფხაზურ ენაზე.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან ქართველოლოგიაში ჯერ კიდევ მყარადაა გაბატონებული მოსაზრება, რომ „... დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველურ ტომებს წინ უსწრებდნენ აფხაზურ-ადიღეური ტომები " (ა. ჩიქობავა).

აკად. ა. ჩიქობავას ეს და სხვა დიდ მეცნიერთა ზოგიერთი დაუსაბუთებელი, მოუზომავი და გაუმართლებელი გამონათქვამები თუ დასკვნები დღემდე საგვარეულო წყევლასავით თან სდევს ქართულ ისტორიოგრაფიასა და ენათმეცნიერებას და, მიუხედავად იმპერიული ზეწოლისაგან განთავისუფლებისა, მაინც ვერ განთავისუფლებულან მისი შემბოჭავი არტახებისაგან.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრ მეცნიერს რატომღაც არაფერს ეუბნება ის გარემოება, რომ უხსოვარი დროიდან შავიზღვისპირეთის ფართო ზოლში მცირე აზიიდან მოყოლებული ყუბანისპირეთამდე, აგრეთვე აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფართო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ მრავალრიცხოვანი ქართველური ტომები. და ეს დადასტურებულია დოკუმენტურად, ხოლო მათი განსახლების არეში ძვ. წ. IV-III საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე სახელმწიფო ენაა ქართული, ამასთან სხვადასხვა ტერიტორიებზე, განსახლებისდა მიხედვით, სალაპარაკო ენად დომინანტობდა და დომინანტობს ან სვანური, ან ზანური (მეგრულ-ჭანური).

სანამ სათაურში გამოტანილი კითხვის პასუხზე უშუალოდ გადავიდოდეთ, საჭიროა აქვე დავსვათ მეორე კითხვა — შეიძლებოდა თუ არა ისტორიული აფხაზეთის სალაპარაკო ენა ყოფილიყო აფსუური?

ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული შრომებისა (თ. მიბჩუანი, ა. ონიანი, დ. გოგოლაძე, ზ. რატიანი, ნ. ფოფხაძე, ბ. თავაძე და სხვა) ადრინდელი მონაცემების მიხედვით უტყუარად, სარწმუნოდ დგინდება შემდეგი:

1) ჩვ. წ. I ს-ში აფსუების ტომი ცხოვრობს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში — კასპიისპირეთში;

2) ჩვ. წ. XVI საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ კიდევ ცხოვრობენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ყუბახისპირეთში.

3) ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, მარცხენა ყუბანისპირეთში აფსუურ-ადიღეური ტომების მოსვლამდე დასტურდება ქართველური ტომების — ზანებისა და სვანების ბინადრობა და ფართო განსახლება.

4) მე-16 საუკუნის რუკაზე ამ საუკუნის მეორე ნახევარში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია მხოლოდ 2 აფსუური ტოპონიმი.

5) მე-19 საუკუნის ენობრივი მასალებით აფსუათა ენაში ვაზი და მუხა აღინიშნება ერთი და იგივე სახელით აჯი (თუ აუი) და ისიც ნასესხები ჩანს ჩრდილო კავკასიელ ხალხთა ენებიდან, რაც იმას გვიჩვენებს, რომ აფსუები გვიანდელ პერიოდამდე ვაზს არ იცნობდნენ.

6) აფსუები წიწვიან ხემცენარეებს — ფიჭვი, სოჭი და ნაძვი უწოდებენ საერთო სახელს „აფსა", რაც შეესაბამება ანალოგიურს ყაბარდოელთა და ჩერქეზთა ენებზე — „ფსეი" და შეთვისებული უნდა იყოს ამ ენებიდან, რაც [illegible] მიუთითებს, რომ აფსუები თავიანათ პირვანდელ სამცხოვრისში არ იცნობდნენ წიწვიან ხემცენარეებს.

და ა. შ. და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ XVI-XVII საუკუნეებამდე ყოველნაირად გამორიცხულია აფსუა-აფხაზთა წინაპრების რაიმე სახით ცხოვრება დასავლეთ საქართველოში — ისტორიულ აფხაზეთში და აქედან გამომდინარე **უნდა დავასკვნათ, რომ ისტორიული და თანამედროვე აფხაზები ორი სხვადასხვა ხალხია და ისტორიული აფხაზების ენა არ შეიძლება ყოფილიყო აფსუური ანუ აფსუურ-ადიღეური ჯგუფისა, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ისტორიული აფხაზები ლაპარაკობდნენ ერთ-ერთ ქართველურ ენაზე,** მაგრამ რომელზე?

ახლა ვნახოთ ვინ მოსახლეობდა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ისტორიული თვალსაწიერის მანძილზე.

როგორც არსებული მრავალრიცხოვანი სპეციალური ლიტერატურიდან ჩანს, ძვ. წ. VI საუკუნეებამდე ამის შესახებ ასე თუ ისე რაიმე კონკრეტული მონაცემები არ არსებობს. ხოლო ძვ. წ. VI ს-დან მოყოლებული ჩვ. წ. VIII ს-მდე აქ მოხსენიებული არიან შემდეგი ტომები: კოლები (კოლიკები), კორაქსები, ჰენიოხები, სანიკები (სანიგები), აფშილები, მისიმიანები, აბასკები (აბაზგები); ამასთან უკანასკნელი ოთხი (სანიგები, მისიმიანები, აფსილები, აბასკები) მხოლოდ ჩვ. წ. I-II საუკუნეებიდან ჩნდებიან, მაგრამ, რაკი ზემოთმოყვანილი მონაცემების მიხედვით ამ პერიოდში აქ აფსუების ბინადრობა ყოველნაირად გამორიცხულია, ამიტომ ყველა ეს ტომი საფუძველი გვაქვს, მივაკუთვნოთ ქართველთა მოდგმას.

საერთოდ უცნაურად გვეჩვენება ერთი რამ. არ უკვირთ, რომ ქართის ენაზე მეტყველებენ-ლაპარაკობენ მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები: ქართლელები, კახელები, მესხები, ჯავახები, იმერლები, გურულები და ა. შ. სამაგიეროდ, რატომღაც ვერ წარმოუდგენიათ, რომ სვანურად ან ზანურად მეტყველებდნენ ასევე მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ტომები.

მაგალითად, არავის შეაქვს ეჭვი იმაში, რომ X ს-ში ჩამოყალიბებული რაჭის საერისთაოს მკვიდრნი — ახალი ეთნიკური სახელწოდებით „რაჭველები" — ქართულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ, სამაგიეროდ, VIII ს-ში ჩამოყალიბებული აფხაზეთის საერისთაოს მკვიდრნი ასევე — ახალი ეთნიკური სახელწოდებით „აფხაზები", ვერ წარმოუდგენიათ არაქართველური-აფსუური ენის გარეშე.

გაგრძელება მე-8 გვ.

## სამუშაოს პირველნი დაკარგავენ უცხოელები

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ჯეიმს პარსელის პროგნოზით, მილიონობით ემიგრანტს ემუქრება სამუშოს დაკარგვა აზიის ეკონომიკური კრიზისის გამო, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ადგილგადამანაცვლებელ მუშათა დაღლა, სამუშოს ძებნას ისინი ამჯერად აზიის ფარგლებს გარეთ დაიწყებენ. ბოლო ათი წლის მანძილზე მილიონობით აზიელმა მუშამ, განსაკუთრებით — ბანგლადეშელებმა, ბირმელებმა და ფილიპინელებმა თავისი ბედი ჰპოვეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეკონომიკური ბუმით მოცულ ქვეყნებში. ზოგი მათგანის ეს მიგრაცია არალეგალურიც იყო. მაგალითად, მალაიზიის 1,4 მილიონი უცხოელი მუშიდან 0,8 მილიონმა იქ უკანონო გზით შეაღწია. სამხრეთ კორეას: 140 ათასი არალეგალური მუშა ჰყავს, ტაილანდს — 700 ათასი ანუ ყველა უცხოელ მუშათა 70%.

როგორც მოსალოდნელი იყო, უკვე გაისმის მოწოდება უცხო მუშათა გაძევების შესახებ. დიდმასშტაბიანი დეპორტაციები ძნელია. მაგრამ მაინც მოსალოდნელია, რომ დიდი რაოდენობის უცხო მუშებს გამგზავრება მოუხდებათ, ან იმიტომ, რომ თავის შენახვა გაუჭირდებათ, ან იმიტომ, რომ მასპინძელი ქვეყნები ვერ გაიღებენ იმ პოლიტიკურ ფასს, რაც მათი იქ ყოფნა უჯდებათ.

სასოწარკვეთილ ადამიანთა უფრო და უფრო დიდი რაოდენობა დაადგება თავის გრძელ, სახიფათო და ხშირად უკანონო გზას, რათა უკეთესი შესაძლებლობები ეძებოს ავსტრალიაში, იაპონიაში, ევროპაში.

თუ ეს მოხდა, მაშინ შორს აღარ ყოფილა „ნავით მოგზაურ ადამიანთა" შემდეგი ტალღა, რომელსაც ამჯერად ეკონომიკა მიერეკება და არა პოლიტიკა.

EIR

## მენავთეებს ცუდი დრო აქვთ

ჩრდილოეთის ზღვის ნავთობის ფასი 40%-ით დაეცა შარშანდელთან შედარებით და არაფერი მიგვანიშნებს იმაზე, რომ მისი დაცემა არ გაგრძელდება. აზიის მოთხოვნილება ნავთობზე უკვე შემცირდა 500 ათასი ბარელით დღეში. თუ გავითვალისწინებთ „ოპეკი"-ის ქვეყნების („ნავთობის მწარმოებელი და გამტანი ქვეყნების) 1 იანვარის გადაწყვეტილებას, რომ მოპოვების ოფიციალური ქვოტები გაზარდონ, უნდა ველოდოთ, რომ რეალური მოთხოვნილება ნავთზე კიდევ უფრო შეიცვლება.

## გერმანიას აინტერესებს ირანი

როგორც განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლაუს კინკელმა, შესაძლებელია ირანმა მიიღოს ახალი დაზღვეული საკრედიტო გარანტიები გერმანიისაგან. კინკელის სიტყვით, ბონს სწადია უკეთესი ურთიერობები ირანთან და აპირებს მასთან საუბარს ირანისათვის „ძნელ საკითხებზე."

## კრიზისი იაპონიასაც კი ეხება, მაგრამ მაინც...

აზიის ფინანსური კრიზისის გაღრმავებასთან დაკავშირებით იაპონიის სამრეწველო პროდუქცია ნოემბერში 5%-ით დაეცა წინა თვესთან შედარებით, როგორც ეს განაცხადა იაპონიის საერთაშორისო ვაჭრობის სამინისტრომ. წლის მანძილზე იგი 2,1-ის დაეცა პროგნოზირებული 1%-ის ნაცვლად.

# კრიმინალური ქრონიკა

### ქარდავა შიმშილმა შეაწუხა და _

8 მარტს წალენჯიხის პოლიციელებმა დააკავეს ჯვარში მცხოვრები 19 წლის ამბროსი ქარდავა, რომელმაც ლონდა არონიას კომერციული ჯიხურიდან 20 ლარის ღირებულების სურსათი გასტაცა.

* * *

6 მარტს ნაძალადევის პოლიციელებმა დააკავეს გიორგი ბერძენიძე, რომელმაც გლდანელ 24 წლის გიორგი კუბლაშვილს წაართვა 1300 ლარი.

* * *

8 მარტს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა შპს „თერგის" ბაზრობის ტერიტორიაზე დააკავეს თემქელი 34 წლის ჯემალ წამალაშვილი, რომელმაც ქობულეთის რაიონის სოფ. ზედა კვირიკეში მცხოვრებ ნათია ბერიძეს 30 ლარი მოპარა.



* * *

9 მარტს დიდუბის პოლიციელებმა დააკავეს თბილისელი 35 წლის სეირან ოდიშელიძე და ზუგდიდის რაიონის სოფ. ინგირში მცხოვრები 33 წლის რომან ბერულავა, რომლებმაც გაქურდეს თბილისელი მერი თოდუას ბინა.

* * *

8 მარტს ისნის პოლიციელებმა დააკავეს ვასილ ალნაშვილი, რომელმაც №88-ე საშუალო სკოლის შენობიდან მოიპარა 4 პნევმატიური თოფი და მონიტორი „ელექტრონიკა".

* * *

9 მარტს ვაკის პოლიციელებმა დააკავეს იარაღის უკანონო ტარებისათვის ძებნილი 25 წლის ელდარ არღვლიანი, რომელმაც გაქურდა ბაგებში მდებარე სტუდქალაქის მე-5 კორპუსში მცხოვრები ზურაბ მჭედლიშვილის ავტომანქანა „მოსკვიჩი".

* * *

8 მარტს დიდუბისა და საბურთალოს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ქუთაისელი ნასამართლევი 21 წლის თამაზ ფიჩხაძე, ძმები 30 წლის გიორგი და 26 წლის კონსტანტინე წულეისკირები, რომლებმაც 17 იანვარს მოახდინეს ყაჩაღური თავდასხმა თბილისელ ირაკლი გურჩიანის ოჯახზე. წულეისკირისაგან ამოღებულია „ტტ"-ს სისტემის პისტოლეტი, ხოლო ფიჩხაძის ბინიდან ამოღებულია გურჩიანის სახლიდან გატაცებული აირის პისტოლეტი.

### შვიდჯერ ნასამართლევი ქალოსანიცაა!

8 მარტს ნაძალადევის პოლიციელებმა გატარებული ოპერატიული სამძებრო ღონისძიების შედეგად დააკავეს თბილისელი, 7-ჯერ ნასამართლევი 50 წლის ამირან ხულელიძე, რომელმაც 1992 წლის 28 აგვისტოს თბილისელი გურამ ჭიკაიძის ეზოდან 32 625 დოლარის ღირებულების 75 ტონა სამშენებლო რკინა მოიპარა.

### მინდაძემ პოლიციელებს ცეცხლი გაუხსნა!

8 მარტს 23 საათზე და 30 წუთზე სოფელ ცრემლისხიდთან შემოვლის დროს გურიის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს ოპერატიულ ჯგუფს ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა სვანიძის დანაშაულებრივი ჯგუფის წევრმა, სოფ. დვაბზუში მცხოვრებმა 31 წლის გედა მინდაძემ, რის შედეგადაც ბეჭში დაჭრა პოლიციელი, პოლიციის ზემდეგი რამინ წულაძე და ფეხში უბნის ინსპექტორი პოლიციის უმცროსი ლეიტენანტი კახა კუპრაძე. საპასუხო სროლის შედეგად მინდაძე ლიკვიდირებული იქნა.

### ამოღებულია ავტომატი „აკ-74".

8 მარტს ბოლნისის პოლიციელებმა დააკავეს, ნასამართლევი 18 წლის გია თევდორაძე, რომელსაც აღმოაჩნდა გადაჭრილი სანადირო თოფი.

### ეჰ, თამუნია_ თამუნია!

8 მარტს ახალციხის სისხლის სამართლის სამძებროსა და ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად ამხილეს ვალეში მცხოვრები 71 წლის თამარ ჯოხაძე, რომელსაც ბინაში მოწყობილი ჰქონდა გარყვნილობის ბუნაგი.

### ნარკომანია

8 მარტს სამტრედიის სატრანსპორტო პოლიციელებმა და სენაკის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფის თანამშრომლებმა დააკავეს ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი წყალტუბოელი 34 წლის სოსო ბებია, რომელსაც აღმოაჩნდა 10,1 გრამი ოპიუმი.

### ზეინალოვს 30000 დოლარს სძალავდნენ

8 მარტს შსს კრიმ. პოლ. დეპარტ. და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს თბილისელი 40 წლის ნოვრუზ გარიბოვი და თბილისელი 30 წლის თეიმურაზ გულიევი, რომლებმაც 9 თებერვალს ფულის გამოძალვის მიზნით მოსკოვში უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება გარდაბანში მცხოვრებ 26 წლის მარიფ ზეინალოვს. იგი რამოდენიმე დღის განმავლობაში დაკავებული ჰყავდათ ქ. მოსკოვში, რის შემდეგაც გარიბოვმა და გულიევმა სიაევთან ერთად გულიევის ავტომანქანით ზეინალოვი წამოიყვანეს თბილისში და მიიყვანეს გულიევის ბინაში, სადაც ძალავდნენ 30000 დოლარს იმის გამო, რომ ზეინალოვს და მისი ოჯახის წევრებს არ გააჩნდათ აღნიშნული თანხა, მის მამასთან სალადინ ზეინალოვთან მოლაპარაკების შედეგად უკანასკნელმა ნოტარიუსის მეშვეობით აღნიშნულ პირებს გადაუფორმა გარდაბანში მდებარე ზეინალოვის 2 ბინა. გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა.

### სამეგრელოში იარაღის ჩაბარება გრძელდება!

8 მარტს სამეგრელოს პოლიციაში სოფ. კოკში მცხოვრებმა 28 წლის ირაკლი თორიამ ჩააბარა ავტომატი აკს.

8 მარტს სოფ. ახალსოფელში მცხოვრებმა 49 წლის მურმან ქარჩილავამ ჩააბარა ნურსის ტიპის ყუმბარმტყორცნის 2 ჭურვი, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა, ავტომატი აკმ-ის 145 ვაზნა და ტყვიამფრქვევის 45 ვაზნა.

### ხუციშვილმა თავი დაიცვა!

7 მარტს, 01 საათზე, დანით შეიარაღებული, ლანჩხუთში მცხოვრები 25 წლის ალექსანდრე შანიძე და ფოთელი 20 წლის ლევან ხუციშვილი თავს დაესხნენ სოფელ შუხუთში მცხოვრები ილარიონ მშვიდობაძის ოჯახს. წინააღმდეგობის გაწევისას მშვიდობაძემ სანადირო თოფიდან გასროლით ბარძაყის არეში დაჭრა შანიძე, რომელიც საავადმყოფოში გარდაიცვალა. ხუციშვილი იმალება. მშვიდობაძემ პოლიციაში წარმოადგინა თოფი „იჟ-8".

### ლალაძის მეშვიდეჯერ გაასამართლებენ!

6 მარტს ქუთაისის პოლიციელებმა ბაზრობა „იმერეთის" მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს 6-ჯერ ნასამართლევი 39 წლის ვაჟა ლალაძე, რომელმაც ქუთაისელ ვახტანგ ბაკურაძეს მოპარა პირადი ნივთები.

* * *

7 მარტს სამეგრელო-სვანეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებს მოსახლეობამ ნებაყოფლობით ჩააბარა შემდეგი დასახელების იარაღი:

* * *

54 წლის სერგო ვეკუამ — ავტომატი „აკს" 1 მჭიდით და 30 ვაზნით.

* * *

56 წლის ანზორ ფონიამ — უნომრო ავტომატი „აკმ".

სოფელ ადიშში მცხოვრებმა 66 წლის ტატაჩი ავალიანმა — ავტომატი „აკს".

* * *

55 წლის ვალერი ჭკადუამ — ავტომატი „აკმ".

დაბა ჩხოროწყუში მცხოვრებმა 42 წლის ამირან ჯალაღონიამ — 2 ხელყუმბარა „ფ-1".

* * *

46 წლის ტარიელ ბელქანიამ — 2 ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა, 2 ხელყუმბარა „რგდ", 2 ხელყუმბარა „ფ-1, ერთი ყუმბარმტყორცნის ჭურვი, ავტომატი აკს-ს 1 მჭიდი ავტომატი 145 ვაზნა და რადიოსადგური პალმა.

### დააკავეს ძებნილნი

6 მარტს შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დააკავეს ქლუბერდში განზრახ მკვლელობის ჩადენისათვის აფხაზეთის პოლიციის მიერ ძებნილი 59 წლის მიხეილ წითელაშვილი.

ქუთაისის პოლიციელებმა დააკავეს ქურდობისათვის ძებნილი 27 წლის ვასილ ზალკანიანი.

* * *

7 მარტს სამტრედიის პოლიციელებმა დააკავეს ყაჩაღობისა და იარაღის უკანონო ტარებისათვის ძებნილი 29 წლის როინ გიორგაძე.

* * *

7 მარტს ჩხოროწყუს პოლიციელებმა დააკავეს ყაჩაღობისათვის ძებნილი 21 წლის დამირ ჩოკორაია.

* * *

7 მარტს გარდაბნის პოლიციელებმა დააკავეს სახელმწიფო ან საზოგადო ქონების ქურდობის ჩადენისათვის ძებნილი 27 წლის როფშან ალაზოვი.

* * *

6 მარტს ჩოხატაურის პოლიციამ დააკავა ქურდობისათვის ძებნილი 27 წლის არჩილ ცხვარაძე.

* * *

7 მარტს დიდუბის პოლიციელებმა დააკავეს ძარცვისა და ხულიგნობის ჩადენისათვის ძებნილი 21 წლის გოჩა სოხაძე და ყაჩაღობისათვის აჭარის პოლიციის მიერ ძებნილი 32 წლის მურმან დევაძე.

* * *

8 მარტს ზუგდიდის პოლიციელებმა დააკავეს ყაჩაღობისათვის ძებნილი 31 წლის ზვიად ნადირაძე.

* * *

8 მარტს დიდუბისა და ისნის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ხულიგნობისათვის ძებნილი 23 წლის არმენ მკრტიჩიანი.

### 3 ძროხა არ იკმარა

7 მარტს ბოლნისის პოლიციელებმა გატარებული ღონისძიებების შედეგად დააკავეს სოფ. ნახიდურში მცხოვრები 47 წლის რაგიმ ჯალილოვი, რომელმაც 1997 წლის 6 დეკემბერს თანასოფლელს ბუხარ გასანოვს ეზოდან სამი ძროხა და ცხენი მოპარა.

* * *

7 მარტს თერჯოლის პოლიციელებმა დააკავეს სოფ. კვახჭირში მცხოვრები 30 წლის ირაკლი ყუფარაძე, რომელმაც თანასოფლელის მეგი ყუფარაძის სახლი გაქურდა.

* * *

8 მარტს კასპის პოლიციელებმა დააკავეს სოფ. ლამისყანაში მცხოვრები 2-ჯერ ნასამართლევი 21 წლის გიგლა იორდანაშვილი, რომელმაც 7 მარტს სოფელ ლამისყანის მუზეუმიდან მოიპარა ხალიჩა.



* * *

8 მარტს გარდაბნის პოლიციას განცხადებით მიმართა 63 წლის გივი გაბაძემ მასზედ, რომ დაუდგენელმა პირებმა სოფ. კუმისის ზემოთ მდებარე აგარაკიდან მოპარეს 2 ძროხა, რა დროსაც მეზობლებთან ერთად გამოედევნა ქურდებს და სანადირო თოფით ხელში დაჭრა თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ბორბალოში მცხოვრები 22 წლის ამირან ძელიაშვილი, რომელიც მოათავსეს საავადმყოფოში.

* * *

8 მარტს ოზურგეთის პოლიციელებმა დააკავეს სოფ. მელექედურში მცხოვრები ნასამართლევი 46 წლის პეტრე სამხარაძე, რომელმაც 3 მარტს სოფელ ნატანებში მცხოვრები ზაირა კვაჭანტირაძის სახლი გაქურდა.

### გამოუსწორებელ რეციდივისტს კიდევ გაასამართლებენ!

7 მარტს ნაძალადევის პოლიციელებმა დააკავეს ციხიდან 27 თებერვალს გათავისუფლებული, რამოდენიმეჯერ ნასამართლევი 31 წლის მურაზ ბაბულოვი, რომელმაც 5 საათზე ავტომატის მუქარით ლოტკინიდან გაიტაცა თბილისელი შალვა მენთეშაშვილის ავტომანქანა, შემდეგ ხუდადოვის ქუჩიდან გაიტაცა თემქელი გიორგი ამოევის ავტომანქანა „ფორდი", რომლითაც შეეჯახა და დააზიანა რამოდენიმე ავტომანქანა, შემდგომ დაეჯახა 71 წლის არსენ გოგუაძეს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. გარდა ამისა, ავტომატიდან უმისამართო სროლის შედეგად, ფეხში დაჭრა თბილისელი 58 წლის თემურ დავლაშერიძე, რომელიც მოათავსეს მე-4 საავადმყოფოში. ამოღებულია რუმინული წარმოების ავტომატი „აკს".

### სათამაშო პისტოლეტით მანქანა გაიტაცა!

7 მარტს ნაძალადევის პოლიციელებმა დააკავეს 24 წლის ლევან ჩაჩანიძე, რომელმაც თემქელ მაქსიმ ლიპარტიას ეზოდან გასტაცა ავტომანქანა. ავტომანქანა ამოღებულია.

* * *

8 მარტს საბურთალოს პოლიციელებმა ღამის 3 საათზე დააკავეს დიდი დიღმელი 31 წლის ლევან ჯოხაძე, რომელმაც თბილისელ ივანე ნიკლაურს გასტაცა ავტომანქანა „ბმვ".

* * *

8 მარტს ოსიაურის პოლიციელებმა გორთან დააკავეს თბილისელი 20 წლის ნიკოლოზ კილასონია, რომელმაც სათამაშო პისტოლეტის მუქარით დიდი დიღმის ტერიტორიიდან თბილისელ ნოდარ ქამხაძეს გასტაცა მასზე მიმაგრებული თბილისის ავტობუსებისა და ტაქსების კომპანიის კუთვნილი ავტომანქანა „მიცუბისი ლანცერის".

### ავტოკატასტროფა!

8 მარტს 01 საათზე ვაკეში ქავთარაძის ქუჩაზე ავტომანქანა ვაზ 2106, რომელსაც მართავდა ალექსანდრე ნინუა დაეჯახა ხეს, რის შედეგადაც მძღოლი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, ხოლო მგზავრმა თბილისელმა ნიკოლოზ ხუნდაძემ მიიღო სხეულის დაზიანება.

### პურის ფქვილი მოიპარეს!

7 მარტს შსს კრიმ. პოლ. დეპარტ. კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტზე ამხილეს თბილისელი 49 წლის გენადი მდინარაძე, ოზურგეთის რაიონის სოფ. ლიხაურში მცხოვრები 35 წლის აკაკი თუთბერიძე და თბილისის სტომატოლოგიური კოლეჯის დირექტორის მოადგილე თბილისელი 42 წლის ბიძინა მაჭავარიანი, რომლებმაც შპს ფირმა „ბაჯოს" ხელმძღვანელობის მიერ გაცემული მინდობილობით თბილისის დიდუბის წისქვილკომბინატიდან 10200 ლარის ღირებულების 20 ტონა უმაღლესი ხარისხის პურის ფქვილი გაიტაცეს, ფირმა „ბაჯოს" ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე გაუკეთეს რეალიზაცია და ამონაგები თანხა დაიტაცეს.

### „ძეშიში" დააკავეს!

8 მარტს გარდაბნის პოლიციელებმა დააკავეს სოფ. ყარაღალაღში მცხოვრები 4-ჯერ ნასამართლევი 36 წლის მურდახან გაჯიევი, რომელსაც აღმოაჩნდა 20,3 გრამი მარიხუანა.

* * *

8 მარტს სატრანსპორტო პოლიციის თბილისის რეგიონალური სამსახურის თანამშრომლებმა თბილისის რკინიგზის ცენტრალურ სადგურზე დააკავეს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ქობულეთელი, პანსიონატ აისში მცხოვრები 34 წლის სოსო გადილია, რომელსაც აღმოაჩნდა 5,7 გრამი მარიხუანა. დააკავეს მესტიის რაიონის სოფელ ხაიშში მცხოვრები 27 წლის გიორგი გელოვანი, რომელსაც აღმოაჩნდა 6,7 გრამი მარიხუანა.

**ხათუნა ნოზაძე**
**შსს-ს პრესცენტრი**

# ახალი ამბები

### მაინც არ შესრულდება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ზურაბ ერქვანიას დსთ-ს 19 იანვარს მოსკოვის სამიტზე, რომელიც რიგით VII სამიტია, აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება სამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე უნდა: 1. საქართველოსა და დსთ-ს ურთიერთობაზე ანუ საქართველოს ისტორიულ პერსპექტივებზე დსთ-ში ყოფნა-არყოფნის შემთხვევაში, 2. საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე, 3. აფხაზეთთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების მიმდინარეობის თაობაზე.

ზურაბ ერქვანია მიიჩნევს, რომ 19 მარტის სამიტი ბევრად უფრო მწვავე იქნება თავისი ტონალობით, ვიდრე 1997 წლის 22 ოქტომბრის სამიტი, თუმცა ეჭვი არ ეპარება, რომ აფხაზეთზე ისევ გათამაშდება კარტი, რომელსაც რუსეთი გაათამაშებს თავისი პოლიტიკური ინტერესების დემონსტრირებისათვის.

ერქვანიას განცხადებით, რუსეთთან ზედმეტი კეკლუცობა არაა საჭირო. აფხაზეთთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლებამ ფრთხილი, მაგრამ პრინციპული და კატეგორიული პოზიცია უნდა დაიკავოს 19 მარტის სამიტზე.

ზურაბ ერქვანიას თქმით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ცივი ომის ურთიერთობებს წააგავს, ამიტომ საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია დაგეგმილ სამიტზე კატეგორიულად მოითხოვოს: „სამშვიდობო ოპერაციის დასრულების საკითხი, იმის პარალელურად, რომ მსოფლიოს წინაშე წარმოაჩინოს „სამშვიდობოების გაყვანის შემთხვევაში ომის არგანახლების გარანტიები, აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრა ერთიან სახელმწიფოში და უკლებლივ ყველა დევნილის დაბრუნება. ისე კი ერქვანია მიიჩნევს, რომ სამიტზე მიღებული თუნდაც უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები რეალურად მაინც არ შესრულდება ისევე, როგორც ეს აქამდე ხდებოდა.

**გეა**

### საჭიროა ერთიანი სახელმწიფო პროგრამა

როგორც გუშინ გამართულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაფართოებულ სხდომაზე ითქვა, დაფიქსირებულია, რომ 1997 წლამდე, ყოველწლიურად 20%-ით მატულობდა დევნილთა მიმართვა ჯანდაცვის სტრუქტურებისადმი, 1997 წელს - ეს მდგომარეობა შედარებით სტაბილური გახდა სამეგრელოს რეგიონში, მაგრამ ამის პარალელურად, თბილისსა და იმერეთში დაავადებულ დევნილთა მიმართვამ 10%-ით იმატა. დაფიქსირებულია, რომ ინფექციურ დაავადებათა თვალსაზრისით მძიმე მდგომარეობაა დევნილთა მასიური დასახლების ადგილებში. კოპიტნარში 1997 წელს ჰეპატიტის აფეთქებას ჰქონდა ადგილი, ხონსა და სენაკში - ფეკალური სისტემის მოშლის გამო ადგილი ჰქონდა წყლით მასიურ მოწამვლას.

ამის პარალელურად, იმატა ორსულ ქალთა და ჩვილ ბავშვთა რაქიტმა და ანემიამ და მასიურმა ფთიზიატრიულმა დაავადებებმა.

როგორც აღინიშნა, სამეგრელოში დევნილ ბავშვთა გამოკვლევებისას დაფიქსირდა, რომ 2000 ბავშვიდან 400 ბავშვს ჰიპოტროფია აქვს.

სხდომაზე გამოითქვა აზრი, რომ აუცილებელია შეიქმნას დევნილთა სახელმწიფო სამედიცინო ერთიანი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც დევნილთა ჯანდაცვის პრობლემას მეტნაკლებად დაარეგულირებს, თორემ, როგორც ირკვევა, 1 დევნილზე სამედიცინო მომსახურებისათვის მხოლოდ 18 ლარი გამოიყოფა, რაც ბუნებრივია იმ თანხის, მინიმუმსაც არ შეადგენს, რაც დევნილის ჯანდაცვისთვისაა აუცილებელი.

ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, გახშირებულია დეპრესიის ნიადაგზე თვითმკვლელობის ფაქტები. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ზურაბ ერქვანიას განცხადებით, წყნეთში დეპრესიის გამო 34 წლის 4 შვილიანმა მამამ თავი ჩამოიხრჩო.

**გეა**

# სპორტის სამყაროში

## მარადონამ დაბრუნება გადაწყვიტა (მერამდენედ...)

სენსაციური ცნობა მოვიდა არგენტინიდან. ყველა დროის ერთ-ერთმა უდიდესმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ მოინდომა ფეხბურთში დაბრუნება.

„ოლ ბოისი" ჩემთვის წყნარი ადგილია, აქ ხომ ბატისტასთან ერთად ვიქნები, თან ეს კლუბი ჩემი სახლის სიახლოვეს ბინადრობსო, ამცნო ჟურნალისტებს მარადონამ. ეს კლუბი არგენტინის ჩემპიონატის მეორე ლიგაში თამაშობს და სწორედ მათ შეუგულიანებიათ მარადონა. მარადონა კი აცხადებს, რომ მას არ სჭირდება შეგულიანება, იგი სიამოვნების მიღების და გუნდის დახმარების სურვილით არის განმსჭვალული.



„ოლ ბოისში" კი ერთობ იმედიანად არიან. კლუბის პრეზიდენტი აცხადებს, რომ დიეგოს ამ გუნდში თამაში 90%-ით გადაწყვეტილიაო. თუ ამ საქმიდან რაიმე გამოვა, დიეგო მარადონა და სერხი ბატისტა კვლავ ერთმანეთის მხარდამხარ ითამაშებენ, როგორც ეს იყო 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონ არგენტინის ნაკრებში.

## ჩემპიონობისაკენ „ბარსელონამ" დიდი ნაბიჯი გადადგა



საფეხბურთო სამყარო დიდი ინტერესით ელოდა ევროპის ორი გრანდის „რეალისა" და „ბარსელონას" შეხვედრას.

ამ შეხვედრის ინტერსს ალვივებდა ორი რამ: პირველი ვინ გადადგამდა პირველ ნაბიჯს ჩემპიონის წოდებისათვის და ის საფეხბურთო მტრობა, რაც ამ გუნდებს შორის მიმდინარეობს წლების მანძილზე. მათ შეუძლიათ ჩააფლავონ მთელი სეზონი, მაგრამ ერთმანეთთან წაგებულ თამაშებს გულშემატკივრები ყველაზე მეტად განიცდიან. მატჩებიც ძალზე დაძაბულად მიმდინარეობს, ასე იყო ამჯერადაც.

კატალონელთა გუნდი ამ თამაშისათვის უფრო მზად ალმოჩნდა, თუმცა პირველი ნახევარი მეტად დაძაბულ და თანაბარ ბრძოლებში გაილია.

ყველაფერი კი „რეალის" ერთ-ერთი ლიდერის ფერნანდო იეროს მეორე ყვითელი ბარათისა და მისი მოედნის დატოვების შემდეგ გადაწყდა. „ბარსამ" თამაშის სადავეები საბოლოოდ იგდო ხელში, ამას ჰაინეკმა მეტად უცნაური შეცვლები დაურთო და „ბარსამ" გაილაღა. თუ რაულის შეცვლა იძულებით ნაბიჯად შეიძლება ჩათვალოთ, ანდერსონის მიერ 69-ე წუთზე გატანილ ბურთს მიატოვიჩის უცნაური შეცვლა მოჰყვა და „ბარსელონამაც" ათ წუთში ორი გოლი დაუმატა. მეორე გოლში გამოჩნდა ფიგუს ინდივიდუალური ოსტატობა, ჩვეული მარჯვენა ფრთიდან მან ცენტრში გადმოინაცვლა და ბურთს მარცხენა ფეხი დაჰკრა. ახლად დაბრუნებულმა ილგნერმა რეაქცია დააგვიანა და ამ თამაშში მეორედ მოუხდა ბურთის კარიდან გამოტანა. ხოლო მესამე გოლი ჯოვანის ანგარიშზეა. თამაშის შემდეგ ჰაინკესმა წაგებული მატჩი ორი მიზეზით ახსნა: პირველი, სალიგო მატჩის გადაღლილობასა და მეორე, იეროს მინდვრიდან გაძევების გამო. რაც შეეხება ლუის ვან გაალს, მან ამ სეზონში პირველად ამრისუნთქა და თავს დამშვიდების უფლება მისცა.

### გუშინ გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების სამი მეოთხედფინალური მატჩი

შემდეგ ეტაპზე გავიდნენ: ბათუმის „დინამო", გორის „დილა" და თბილისის თ.ს.უ.

მე-4 მატჩი გაიმართება დღეს. თბილისის „დინამო" უმასპინძლებს სამტრედიის „იბერიას". მატჩი ჩატარდება მცხეთის ცენტრალურ სტადიონზე.

## ცნობილი მეკარე რინატ დასაევი რუსეთში აპირებს მუშაობას

საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი კაპიტანი და მოსკოვის სპარტაკის მეკარე რინატ დასაევი სამშობლოში აპირებს მუშაობის დაწყებას. ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას დასაევი ესპანეთში გადავიდა, სადაც იმ დროისათვის ძლიერ საფეხბურთო კლუბში, „სევილიაში" გამოდიოდა, მაგრამ მისმა ესპანურმა კარიერამ ვერ ჰპოვა წარმატება. ამის შემდეგ დასაევმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი, თუმცა მას არც აქ გაუმართლა და მხოლოდ მეორეხარისხოვან გუნდებში მოუხდა მუშაობა. ამ დღეებში რინატ დასაევი რუსეთში, მშობლიურ ასტრახანში იმყოფებოდა და სწორედ მაშინ გამოთქვა თავის პირველ კლუბში, ასტრახანის „ვოლგარში" მუშაობის სურვილი. ასტრახანის მხარის და გუნდის ხელმძღვანელები დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ დასაევის ამ წინადადებას და ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს მას. ვოლგარის ხელმძღვანელთა თქმით რინატ დასაევის კლუბში გადმოსვლა დიდად დაეხმარება გუნდს დასახული ამოცანის შესრულებაში, რაც რუსეთის ჩემპიონატის პირველ ლიგაში გადასვლაში მდგომარეობს.

## ლინარესის მოჭადრაკეთა ტურნირს ახალი ლიდერი გამოუჩნდა

ესპანეთის ქალაქ ლინარესში მიმდინარე დიდ საერთაშორისო ტურნირზე ლიდერმა, ალექსეი შიროვმა მოულოდნელი მარცხი იწვნია. იგი დამარცხდა არაფრით გამორჩეულ რუს მოჭადრაკესთან, პეტრე სვიდლერთან. ამით ისარგებლა ინდოელმა ანანდმა და ბულგარელი ვესელინ ტოპალოვის დამარცხების შემდეგ პირველ ადგილზე გადაინაცვლა. გარი კასპაროვმა კი თავისი მორიგი პარტია დაასრულა ყაიმით. მან ვლადიმერ კრამნიკთან გაიყო ქულები.

ბოლო ტურის წინ ლიდერობს ანანდი - 7 ქულა. შიროვს 6,5 ქულა აქვს, კასპაროვს და კრამნიკს 6-6, სვიდლერს - 5,5, ივანჩუკს 4,5, ტოპალოვს კი 3,5.

## საქართველოს ჩემპიონატს სპონსორი გამოუჩნდა

როგორც ვიცით, „კოკა-კოლა" ბავშვთა ტურნირს ატარებს საქართველოში და საკმაოდ წარმატებითაც: ახლახან ცნობილი გახდა, რომ „კოკა-კოლამ" გადაწყვიტა უკვე ეროვნულ ჩემპიონატს უსპონსოროს. ყველა დეტალი ფედერაციასთან შეთანხმებული ყოფილა და მხოლოდ მენეჯერის ჩამოსვლას ელოდებიან, რათა საბოლოო სახე მიეცეს კონტრაქტს.

ფედერაცია ბევრს არ ითხოვს, წელიწადში რამდენიმე შეკრებას, დაფინანსებას, ლაგოდეხის ბაზის კეთილმოწყობას და წყალწაღებული გუნდების დახმარებას. სამაგიეროდ ყველა სტადიონზე გაკეთდება სარეკლამო ფარები. ალბათ პირველი ეტაპისათვის ესეც საკმარისი იქნება. ხოლო თუ რა მოხდება მომავალში, ამას დრო გვიჩვენებს.

## უიღბლო დასაწყისის ბედნიერი დასასრული

დიახ, უიღბლო. გავიხსენოთ სამი წლის წინანდელი ავსტრალიის ეტაპის ერთი მეტად მძიმე ავარია. ამ ავარიის შემდეგ ვინმეს თუ ეგონა ჰაკინენის არათუ სპორტში, არამედ ამ ქვეყანაზე დაბრუნება თუ ეწერა, მაგრამ მიკა უფალმა არ გაწირა და თავის სპორტულ კარიერაში მეორე გამარჯვებაც სწორედ ამ ეტაპზე არგუნა.

უფალთან ერთად კონსტრუქტორ რონ დენისის მიერ მანქანაში ჩამონტაჟებული მუხრუჭების ახალ ელექტროსისტემას უნდა უმადლოდეს ჰაკინენი.

რაც შეეხება თვით რბოლას, საკვალიფიკაციო რბოლაში თავიდან შუმახერი დაწინაურდა. მისი შედეგი დიდხანს რჩებოდა საუკეთესო, ეს ალბათ გამოწვეული იყო ამინდის ჭირვეულობით. ტრასაზე ხან წვიმდა, ხან კი მზე ისე აცხუნებდლა, ასფალტს წუთებში აშრობდა. მეორე დღეს მაკლარენის პილოტები გააქტიურდნენ, განსაკუთრებით ჰაკინენმა გამოიდო თავი და შუმახერის წინა დღეს ნაჩვენები დრო რამდენიმე წამით გააუმჯობესა მას 0,043 წამით ჩამორჩა მისი თანაგუნდელი დევიდ კულჰარდი, რომელმაც შარშან სწორედ ამ ტრასაზე გამარჯვებით დაიწყო სეზონი.



მესამე პოზიციაზე შუმახერი დამკვიდრდა, მეოთხე შედეგი კი შარშანდელი სეზონის გამარჯვებულ ჟაკ ვილნევს ხვდა წილად.

საკვალიფიკაციო რბოლებისას ლამის ერთი სკანდალი მოხდა. საქმე იმაშია, რომ შუმახერი საკმაოდ კარგი გრაფიკით მოძრაობდა. ერთ-ერთ ეპიზოდში დეიმონ ჰილმა უნებურად ხელი შეუშალა. ბოქსებში დაბრუნებულებს შელაპარაკება მოუხდათ, თუმცა ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

ძირითადი რბოლები კი მეტად გაურკვეველ ვითარებაში უნდა წარმართულიყო. ჰაკინენს და კულჰარდს გუნდში პირველობის გამო, რთული ურთიერთობა აქვთ, თუმცა ისინი ჯენტლმენურად შეთანხმებულან — პირველ შესახვევში ვინც შევიდოდა, პირველ ადგილზეც ის უნდა გასულიყო. ჰაკინენმაც პირველმა შეასწრო და კულჰარდი იძულებული გახდა დაეთმო თანაგუნდელისთვის.

ეს გარემოება კი „მაკლარენისთვის" შესაძლოა სავალალოდ დასრულებულიყო: ჰაკინენი უკან მიუხედავად მიჰქროდა პიტ-ტრასაზე უდროოდ რომ უხმეს, მიკამ სწრაფად მოისაზრა რაც ხდებოდა და ბოქსებში თითქმის არ შეჩერებულა, მაგრამ თანაგუნდელს ჩამორჩა. კულჰარდი ნაღდი ჯენტლმენი აღმოჩნდა და პირობა განუხრელად შეასრულა.

ფინიშამდე ორი წრე რჩებოდა, მაგრამ უკვე ნათელი იყო „მაკლარენის" გუნდურ პირველობას ვერავინ შეეცილებოდა.

რაც შეეხება სხვებს, შუმახერი მეხუთე წრიდან გამოეთიშა ასპარეზობას, მას მანქანის ძრავამ უმტყუნა. ვილნევი მეხუთეზე კი გავიდა, მაგრამ ერთი წრით ჩამორჩა გამარჯვებულს, რაც მისთვის სრული ფიასკოა. მისი თანაგუნდელი ფრენცელი კი მესამე იყო, მეოთხე ადგილს ირვინი დასჯერდა, ხოლო ბოლო ქულა ჰერბერტს შეხვდა.

ჰაკინენის გამარჯვება ამ ეტაპზე თითქოს კანონზომიერებაა, იგი ხომ სამი წლის წინ ამ ეტაპზე ავარიის შემდეგ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იყო.

## ტაისონი კიდევ ერთი სასამართლოსათვის ემზადება

„რკინის მაიკლად" ცნობილმა ტაისონმა სასამართლოში უჩივლა თავის ექსტრავაგანტულ პრომისტერს დონ კინგს, იგი ბრალს დებს თავის მენეჯერს თაღლითობაში და 100 მლნ დოლარს ითხოვს მისგან.



მძიმე წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი საჯაროდ აცხადებს, რომ სანამ მუშტებს იქნევდა რინგზე, იგი ხახვივით გაფცქვნეს. კინგმა ტაისონის ნდობით ისარგებლა და მილიონობით დოლარი ჩაიჯიბა.

შარშან მსოფლიო ჩემპიონობისათვის გამართულ მატჩში ტაისონმა ყური მოაჭამა ევენდერ ჰოლიფილდს, რის გამოც მას აუკრძალეს რინგზე გასვლა და მაიკლსაც უამრავი დრო გამოუჩნდა თავისი ფინანსების გადასამოწმებლად. ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ მას დიდი დანაკლისი ჰქონდა.

დონ კინგი და მის მიერ შექმნილი კომპანია „დონ კინგ პროდუქშენ ინკორპორეიტედი" წლების განმავლობაში უსირცხვილოდ ვაჭრობდნენ ტაისონის სახელით, მაშინაც კი, როდესაც მაიკლი ციხეში იჯდა გაუპატიურების ბრალდებით.

კინგი თავიდან ბოლომდე აკონტროლებდა ტაისონის ფინანსებს და შეგნებულად ამახინჯებდა შემოსავლებს. საქმე ეხება ტაისონის გამოსახულებიანი მაიკების, წიგნების, მისი ბრძოლის ამსახველი ვიდეო კასეტებით ვაჭრობას. მანჰეტენის ფედერალური სასამართლო უახლოეს მომავალში განიხილავს ამ საქმეს. გარდა ყველაფრისა ტაისონი მოითხოვს, რომ მის მიერ კინგთან 1994 წელს გაფორმებული კონტრაქტი გაუქმდეს. სწორედ ამათზეა ნათქვამი „ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო."

# ისტორიული აფხაზები მეგრულად ლაპარაკობდნენ

სათაურში დასმულ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ, ჩვენთვის პირველ რიგში საინტერესოა, თუ როგორი იყო იმ რეგიონის მდგომარეობა მე-16-მე-17 საუკუნეებში, როცა ქართველური და აფსუური მოდგმის ტომების შეხვედრა ანუ აფსუების ე. წ. „ჩამოწოლა“ დასავლეთ საქართველოში — ისტორიულ აფხაზეთში.

დადგენილია, რომ XVI-XVII საუკუნეებში აფხაზეთი ჯერ ოდიშის მთავრის ქვეშევრდომია, შემდეგ იმერეთის მეფის ვასალი.

ახლა დავსვათ კიდევ ერთი კითხვა — რა ენობრივ ნაკვალევს ტოვებენ ხალხები თავიანთ საცხოვრისებში?

ესენია: ტოპონიმები, ჰიდრონიმები, საფლავის ქვების წარწერები, სულთა მატიანეები და ა. შ. და ა. შ.

როგორია ამ მხრივ სურათი მე-16 საუკუნის აფხაზეთში, როცა ხდება აფსუათა პირველი ნაკადების შემოსვლა.

ევროპელების მიერ ამ პერიოდში შედგენილი რუკების მიხედვით ირკვევა, რომ მე-16 ს-ის მეორე ნახევრამდე **დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არ მოიპოვება არც ერთი ტოპონიმი და ჰიდრონიმი, რომელიც აფსუური ენის კუთვნილება იყოს და ყველა ისინი ქართველური ენების საკუთრებაა.**

**ხოლო რაც შეეხება ამ პერიოდის გვარ-სახელებს, როგორც ბ-ნი თ. მიბჩუანი აღნიშნავს, 1621 წლამდე — საეკლესიო საბუთების, ბიჭვინთის დიდი იადგარის, ბიჭვინთის დიდი დავთრის, გლეხთა საკომლო სიებისა და სულთა მატიანეების მიხედვით, ყველა ისინი უკლებლივ ქართულია** — **სახელდობრ, მეგრული.**

ზემოთ აღნიშნულს თუ დავუმატებთ იმასაც, რომ დღევანდელი აფსუა-აფხაზთა გვარების თითქმის 80 მეგრულია,



მაშინ გადაჭრით უნდა ვუპასუხოთ სათაურში გამოტანილ კითხვას და ვთქვათ, რომ **გვიან შუა საუკუნეების XV-XVII სს. — ისტორიული აფხაზების სალაპარაკო ენა იყო ერთ-ერთი ქართველური ენა** — მეგრული და ამ პერიოდის აფხაზები წარმოადგენდნენ მეგრულად მოლაპარაკე ქართველთა ეთნიკურ ჯგუფს.

ვამბობთ ამ პერიოდისა, რადგან ტოპონიმური მასალების მონაცემების მიხედვით მიგვაჩნია, რომ უფრო ადრინდელ პერიოდებში აფხაზეთში (და არა მარტო აქ, მცხოვრები ქართველური ტომების დომინანტური სალაპარაკო ენა იყო სვანური.

საერთოდ, კი არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ბ-ნ თეიმურაზ მიბჩუანის მოსაზრებას, (რომ), „არც ისაა გამორიცხული, საქმე გვქონდეს (ე. ი. აფხაზების სახით, ბ. თ.) მეგრულ-სვანურ-მოსხურ ნარევ ტომთან.“

თუ ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებთ, უნდა დავასკვნათ, რომ: 1) ყველანაირი ისტორიული მონაცემების მიხედვით დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ისტორიულ პერიოდში მცხოვრები ტომები ეკუთვნოდნენ ქართველურ მოდგმას.

2) გვიანდელი შუა საუკუნეების (XV-XVII სს) აფხაზები მეტყველებდნენ ერთ-ერთ ქართველურ ენაზე მეგრულზე (რასაკვირველია, იგულისხმება აგრეთვე გარკვეული ჯგუფების მეტყველება სვანურადაც და ქართულადაც);

3) სწორედ მეგრულად მოლაპარაკე ქართველებისა და აფსუურად მოლაპარაკე ადიღეური მოდგმის ეთნიკური ჯგუფების შურწყმის შედეგად XVI-XVII საუკუნეებიდან მოყოლებული შემდგომ პერიოდში თანდათანობით ყალიბდება — ენით აფსუა და კულტურით ქართველი — ახალი ეთნიკური ჯგუფი თანამედროვე აფხაზობა ანუ აფსუა-აფხაზები.

4) ზემოთმოყვანილიდან გამომდინარე ცხადია, რომ აფსუებს არავითარი კავშირი არა აქვთ არც „აფხაზთა სამეფოსთან“ და არც „აფხაზთა მეფეებთან.“

**ბიძინა თავაძე**

## ტკივილი

# „დედა ნახე, მამა ნახე“...

მირონ დობორჯგინიძემ მაშინ მიატოვა ხუთი შვილი, როცა მათ ყველაზე მეტად სჭირდებოდათ მამა და გადასახლდა სხვა ქალთან.

უფროსი ვაჟი ილია, თორმეტის იყო მაშინ... მომდევნო, თინათინი, თერთმეტის, მესამე, რომანი ათის, ნანიტა ხუთის, ხოლო უმცროსი გიორგი — სამი წლის...

დედამაც ცოტა მოგვიანებით დატოვა შვილები, ოთხმოცი წლის ბებიას ანაბარა. რას წარმოადგენს დედა ამჟამად? ქუჩის მაწანწალა და მეძავია.

რაც მშობლებმა მცირეწლოვანი შვილები ბედის ანაბარა დატოვეს, მას შემდეგ ექვსმა-შვიდმა წელმა განვლო.

ილია დედას დაემსგავსა გენეტიკურად. გადახრები და ქცევის პათოლოგია აქვს. გონებაჩამორჩენილია. ანომალია სწორედ ამას ჰქვია. სამკურნალოა, მაგრამ არავინაა მისი პატრონი. უკვე თვრამეტი წლისაა...

თინათინი სამი წელია ნაცნობ ქალთან იზრდება. სწავლობს სკოლაში. და-ძმებთან შედარებით იოლად გავიდა ფონს. უკვე ჩვიდმეტისაა...

გზასაცდენილია თექვსმეტი წლის რომანი. თორმეტი წლის იყო, პირველად რომ მოიპარა, მაგრამ მაშინ სრულწლოვანი არ იყო და არ მიუსაჯეს. თოთხმეტი წლისამ ავტომანქანის საბურავები მოიპარა, წელიწადნახევარი მიუსაჯეს, მაგრამ სასჯელი გადაუვადეს, თუმცა არასრულწლოვანი ექვსი თვე მაინც ჰყავდათ ციხეში. განთავისუფლებისთანავე კვლავ ჩაიდინა დანაშაული.

ამაზეა ნათქვამი: „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“. მშობლების უგერგილობის გამო, რომანი პირწავარდნილი ქურდი გაიზარდა. რა უნდა ქნას? ლუკმაპური რომ იშოვოს, უნდა მოიპაროს. ამით უნდა ირჩინოს თავი. არასაიმედო ოჯახში, უდედმამოდ, ქუჩაში გავარდნილი ბიჭუნა ქურდულ ტრადიციებზე აღიზარდა. სხვას მას ვერ მოვსთხოვთ, სხვანაირი ის ვერც იქნებოდა. მშობლების ყურადღებას მოკლებული ბავშვების უმრავლესობა ამ დღეშია.

ნანიტა უკვე თერთმეტი წლისაა. ის ფერიცვალების დედათა მონასტერში, დედა ფოტინესთან იზრდება. მონასტერში მიყვანამდე, კოჯრის ბავშვთა სახლში იყო რამდენიმე თვე, სადაც თავის კბილა და ცოტა უფროსმა ბიჭებმა გაუპატიურება დაუპირეს. ბეწვზე გადარჩა გოგონა და იქიდან გამოიქცა. მჯერა, რომ დედა ფოტინეს მზრუნველობა მას წმინდა გზით ატარებს. ღმერთმა ქნას!

გიორგი ცხრა წლისაა. შუათანა ძმის, რომანის ალი და კვალია. სკოლაში არ სწავლობს. ვერც ბავშვთა სახლში ვერ მიიყვანეს. უფროსი ძმის, რომანის ქურდული ზეგავლენის გამო.

ოროთახიან ბინაში გაჭირვებით ცხოვრობენ (თუ ამას ცხოვრება ჰქვია), უფანჯრო, უშუქო ბინაში. წყალიც კი არა აქვთ. არავითარი საარსებო წყარო არ გააჩნიათ.

ქალი, რომელმაც ეს ხუთი შვილი შობა, მათთან თვეში ერთხელ მოდის, თუ რამე საჭმელი აქვთ საცოდავებს, წასცინცლავს და წავა... მამა კი ბინის საკითხს ედავება შვილებს. ბედის ირონია სწორედ ამას ჰქვია...



ჩვენმა სახელმწიფომ, (თუ სახელმწიფო ჰქვია) კერძოდ, სასამართლოებმა, ასეთ ადამიანებს მშობლების უფლება უნდა ჩამოართვას და თვითონ სახელმწიფომ იკისროს მათზე მეურვეობა.

ჩვენს ქვეყანაში ძალიან ცოტას ფიქრობენ გზასაცდენილ არასრულწლოვანებზე. რამდენი მაწანწალა, ქურდი და მოხეტიალე მომრავლდა მათ შორის. ხომ არ შეიძლება ყველაფერზე თვალი დავხუჭოთ? ხომ შეიძლება ისინი ციხის კარამდე არ მივიყვანოთ. სანამ დროა, მანამ ჩავერიოთ და შემოვაბრუნოთ ნამდვილი ცხოვრებისაკენ ან ძნელადაღსაზრდელი ბავშვებისათვის სპეციალური დაწესებულება შევქმნათ, სადაც ისინი შეისწავლიან სხვადასხვა სპეციალობებს და როცა დასაქმდებიან, დრო არ ექნებათ იფიქრონ ბნელ საქმეებზე. ეს დაწესებულება აუცილებლად დედაქალაქში უნდა იყოს (თუ უფიქრია ნეტავ, ამაზე ვინმეს?). მხოლოდ, ის, არამცდაარამც არ უნდა იყოს ჟანდარმული და ბიუროკრატიული, არც ციხის მსგავსი. მოზარდებს თავისუფლება და დამოუკიდებლობა არ უნდა წავართვათ, პირიქით, უნდა ვეცადოთ, მათი დამახინჯებული თუ გაბზარული სულები გავანათოთ და გავამრთელოთ.

რა ქნას რომანმა? — არ მოიპაროს! პასუხი ადვილია, მაგრამ რით ირჩინოს თავი და ოჯახის წევრებიც რითი არჩინოს? აძლევს მას სამსახურს სახელმწიფო? ან დღევანდელი ხელფასით შეიძლება იცხოვროს ადამიანმა?

მინდა საყვედური გამოვთქვა საქველმოქმედო ორგანიზაციებისადმი და ჩვენი მაძღარი ბიზნესმენებისადმი, ნაირნაირი „ფირმა“ მანქანებით რომ დაქრიან დედაქალაქის ქუჩებში და სხვისი ტკივილი არ აწუხებთ. თითო ბიზნესმენმა ან თითო საქველმოქმედო ორგანიზაციამ თითო შეჭირვებულ მოზარდს რომ მიხედოს ან „იშვილოს“, საქართველოში არ მომრავლდებოდა ამდენი მაწანწალა და ქურდი. ამაზე თუ დაფიქრებულან ოდესმე ისინი? მაგრამ ისე გავცივდით და გავიყინეთ, მხოლოდ თოვლის გუნდებს ვესვრით ერთმანეთს. საიდან ამდენი სისასტიკე? მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასქელებაზე ვფიქრობთ, მაგრამ ერთიც უნდა გვახსოვდეს, წუთისოფლიდან ვერას წავიღებთ კაცობისა და სიკეთის გარდა.

დროა ამ საკითხს ყველამ ერთად მივხედოთ. დღევანდელი ეს ერთი მაგალითიც კმარა, რომ გული დაგეწვას ადამიანს და შინაგანად შეიძრა. ასეთი მაგალითები კი, უამრავია.

ძალლის ნაკბენივით შემორჩება ჩემს ჟურნალისტურ ბიოგრაფიას დობორჯგინიძეების ოჯახის გასაცოდავებული სამყარო, ილიას ბრიალა თვალები, თინათინის სევდიანი ხმა, რომანის კუშტი ხასიათი, ნანიტას მორიდებული მზერა და გიორგის მოურიდებელი საქციელი, რომელიც საშინელ, უფრო დიდ ტკივილებთან არის გაზავებული.

**ლანდა მასხულია**

# ახალი ამბები

## პოპულისტურმა განცხადებებმა დევნილები მძიმე მდგომარეობაში ჩაყარა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოცუზრუნველყოფის მინისტრის, შალვა წულეისკირის განცხადებით, დევნილები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო პოლიტიკურ-პოპულისტურმა განცხადებებმა საქართველოს ეკონომიკის ე.წ. რეაბილიტაციისა და სტაბილიზაციის შესახებ, რადგან ამის პარალელურად საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეწყვიტეს დევნილთა დახმარებები. შალვა წულეისკირის თქმით, რეალური დახმარების ნაცვლად, დევნილებს იმედებით კვებავენ, ხოლო ცალკეული პირები თანხებს იჯიბავენ ე.წ. ბიზნესპროგრამების დაფინანსებისას, რომელიც დევნილებს უნდა მოხმარდეთ, თუმცა სინამდვილეში თვალით არავის უნახავს ამ პროგრამის რეალიზაცია ან მისი შედეგი. შალვა წულეისკირი აყენებს საკითხს, შეწყვეტილი ჰუმანიტარული დახმარების კომპენსაციის მიზნით დევნილებს 5-6 ლარის დანამატი მიეცეთ, ანუ შეიქმნას ჰუმანიტარულ დახმარებათა საკომპენსაციო ფონდი.

**გეა**

## დევნილები სამშობლოში ბრუნდებიან

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ზურაბ ერქვანიას განცხადებით, იმძლავრა საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები დევნილების საქართველოში ჩამოსვლის სურვილმა, რადგან ისინი მოკლებულნი არიან დევნილის სტატუსს, საქართველოს მხრიდან დახმარებებს და ფაქტიურად მათი ცხოვრება უკვე გაუსაძლისი გახდა.

ერქვანიას თქმით, ყოველდღიურად უამრავი დევნილი მიმართავს საქართველოს საელჩოს მოსკოვში, თხოვნით — დაბრუნდნენ სამშობლოში.

„ვშიშობ, რომ უახლოეს მომავალში მოსკოვიდან დევნილთა დიდი რაოდენობა მოაწყდება თბილისს“ — აცხადებს ერქვანია და აღნიშნავს, რომ მოწესრიგებული უნდა იქნას მათი საკომპენსაციო საკითხები.

**გეა**

## ციხე უფრო ინფორმირებულია

„უკეთესი იქნებოდა, უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები ციხეში რომ იმყოფებოდნენ, ამ შემთხვევაში, მათ ექნებოდათ ინფორმაცია მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრმა, გია ჩხიკვაძემ, ელენე თევდორაძის მიერ გასულ კვირას პარლამენტში გამოსვლისას გაკეთებული განცხადების კომენტირებისას იმის თაობაზე, რომ პატიმრებისგან გაიგო, რომ მზადდება ახალი ტერაქტი.

**გეა**

## შერიგებისა და განიარაღების პროცესმა კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობები ზვიადისტებს შორის

„ზვიადისტების მოსკოვურ ჯგუფს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს - მორიგი ფსევდოარჩევნების დანიშვნა- ასეთი აზრი გამოთქვა გუშინდელ პრესკონფერენციაზე წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრმა, გია ჩხიკვაძემ. მან 9 და 19 თებერვლის მოვლენები ასე შეაფასა - „საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება ჩქარობს და დგამს სპექტაკლებს თავისი თავის დამკვიდრებისა და ლეგიტიმიზაციისათვის. მისი თქმით, ყველაფერი ეს კეთდება იმისთვის, რომ 1991-92 წლის მოვლენებს ჭეშმარიტი შეფასება არ მიეცეს, ეს საკითხი გადავიდეს მეორე პლანზე და საქართველოს გამთლიანებას ხელი შეეშალოს.

გია ჩხიკვაძემ ჟურნალისტებს აცნობა, რომ ნემო ბურჭულაძე და გურამ აბსანძე საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებასთან ალიანსში იმყოფებიან. თავისი სიტყვების დასადასტურებლად, ჩხიკვაძემ თქვა, რომ „ნემო ბურჭულაძე დღემდე თბილისში იმყოფება და სპექტაკლის მორიგ რაუნდს ელოდება. „თუ ჩამობრძანდა, კიდეც უნდა წასულიყო“- აღნიშნა ჩხიკვაძემ. რაც შეეხება სამეგრელოში დაწყებულ განიარაღების პროცესს, ჩხიკვაძემ მას ფარსი უწოდა.

**გეა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოფენა

# მხატვრობა მისი ცხოვრების აზრია

2 მარტიდან 10 მარტის ჩათვლით ქ. თბილისის „სურათების ეროვნულ გალერეაში" მიმდინარეობდა მხატვარ მარინა უჯმაჯურიძის გამოფენა.



მარინა უჯმაჯურიძე 80-იანი წლების ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია. იგი დაიბადა ქ. ოზურგეთში 1954 წელს. 1976-1981 წლებში სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, კინოტელე სახელოსნოში.

1981 წელს მარინა უჯმაჯურიძის სადიპლომო შრომა იყო რეჟისორ გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილის ფილმი „ათოვდა ზამთრის ბაღებს", რომლისთვისაც შექმნა უამრავი ესკიზი და ფერწერული ტილო. 1982-1983 წლებში იგი მიწვეულია მხატვრად კინოსტუდია „ქართულ ფილმში" გუგული მგელაძის ფილმზე „მაცივარში ვიღაც იჯდა". 1983 წელს იგი აფორმებს ნინო ახვლედიანის ფილმს „მოგზაურობა". 1989-1993 წლებში მუშაობს ბიძინა ჩხეიძის ფილმზე „გერონტუა".

1986 წელს მოეწყო მისი პირველი პერსონალური გამოფენა ქ. თბილისში და მას შემდეგ იგი იღებს მონაწილეობას ჯგუფურ გამოფენებში საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ. მოსკოვში 1988 წელს; ამავე წელს მონაწილეობს ჯგუფურ გამოფენაში — იაპონიაში, სადაც ჯილდოდ იღებს ოქროს მედალს ნამუშევრისათვის „ირინას პორტრეტი". 1989 წელს მიღებული აქვს მონაწილეობა ჯგუფურ გამოფენებში კანადაში, გერმანიასა და პოლონეთში.

ამ დღეებში გამართული გამოფენა მარინასთვის ქ. თბილისში რიგით მეოთხე პერსონალური გამოფენა იყო.

მისი შემოქმედება მნახველს ჟანრობრივი მრავალფეროვნებით შეხვდა. აქ იყო პორტრეტები, ნატურმორტები, მრავალფიგურიანი კომპოზიციები. მარინა უჯმაჯურიძე არ მიეკუთვნება არცერთ „იზმს" და მიმართულებას. ის პირველ რიგში არის ფერმწერი, რომელიც ცდილობს წარმოაჩინოს თავისი სამყარო. მხატვრობა მისი ცხოვრების აზრია, ჭეშმარიტებასთან მისასვლელი გზაა. მისი პორტრეტები თავისთავად იქცევს ყურადღებას. ის ფიგურის უტრირებით აღწევს ექსპრესიულობას, რომელშიც დებს იმ შინაგანს, რაც მის პერსონაჟშია და ცდილობს გარეთ გამოიტანოს. მასთან ფერიც გმირის ხასიათიდან გამომდინარე იქმნება. ნატურმორტებსა და მრავალფიგურიან კომპოზიციებში მხატვარი საგანთა საშუალებით ქმნის გარემოს, რომელიც ისევე მნიშვნელოვანია მხატვრისათვის, როგორც გარშემო მყოფი ადამიანები, ამიტომ არცერთი დეტალი არ რჩება მისი ყურადღების გარეშე. მარინა უჯმაჯურიძე თავისი ნამუშევრებისთვის არჩევს საგნებს, რომლებსაც მკაფიოდ გამოსახული მხატვრული სახე გააჩნიათ.







მარინა უჯმაჯურიძიესთვის არ არსებობს ინსტიქტები. ის არაფერს ქმნის სპონტანურად. ის მხოლოდ გონებიდან მოდის. მან ყოველთვის იცის რა უნდა გააკეთოს და შემდეგ როგორ განავითაროს. როდესაც მხატვარი გონებიდან გამომდინარე ქმნის ნამუშევარს, მას უკვე გააზრებული აქვს რა უნდა, შეუძლია მრავალჯერ წაშალოს იქამდე, ვიდრე არ მივა იმ ფორმამდე, რაც მისთვის სასურველია, რასაც ტილოზე დატოვების ღირსად ჩათვლის.

მხატვრის ავადმყოფობის გამო გამოფენის მასპინძელი მისი და ირინა უჯმაჯურიძე იყო. ეს პატარა ქალბატონი საოცრად ათბობდა იმ გარემოს, რასაც მისი დის სურათები ქმნიდნენ. მასში იდო უზომო მარაგი სიყვარულის, რომლის იმპულსების გადაცემას ის ყოველ მნახველზე ცდილობდა. მან საკუთარი მხრებით ჩამოიტანა უამრავი სურათი და დიდი გულმოდგინებით დაკიდა გალერეაში. დიდი გულმოდგინებითა და გარჯით, რადგან ამას მისი საყვარელი დისთვის აკეთებდა, რომელიც ასე უყვარს და რომელსაც ასე სჭირდება. ირინა თითქოს მთლიანად ეწირება მის დასთან ერთად ამ საქმეს.

მე ამაზე ვამახვილებ ყურადღებას იმიტომ, რომ ამ გამოფენაზე გარდა მშვენიერი სურათებისა, დავინახე ის დიდი გრძნობა, რაც ჩვენ, ადამიანებს, ძალიან გვაკლია. გრძნობა ურთიერთდახმარების, გონება იმისა, რომ შევიცნოთ, თუ როგორ ვჭირდებით ერთმანეთს, როგორ უნდა მოვუფრთხილდეთ ერთმანეთს. და თუ ჩვენ ამას შევიგრძნობთ ამ დაძაბულ სამყაროში, ეს გადაარჩენს ალბათ ადამიანთა ურთიერთობებს.

ჩვენ ვუსურვებთ მარინა უჯმაჯურიძეს გამოჯანმრთელებას, ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას და კვლავ და კვლავ ასეთი სასიამოვნო გამოფენების გამართვას.

**ნათია ბახტაძე**

# ქართველი მხატვრები პარიზში



პარიზში იუნესკოს ეგიდით ამ დღეებში გაიმართა ქართველ მხატვართა გამოფენა სახელწოდებით „ტრანსფორმაცია", რომელშიც მონაწილეობდნენ ილიკო ზაუტაშვილი, გურამ წიბახაშვილი, ნიკო ცეცხლაძე, ოლეგ ტიმჩენკო, ქეთი კაპანაძე, გია რიგვავა, მამუკა ჯაფარიძე და სხვანი. წარმოდგენილი იყო ინსტილაცია-ობიექტი, ფოტო, ვიდეო არტი... გამოფენაზე წარმოდგენილია ქართველ მხატვართა ის ერთი ნაწილი, რომლებმაც ქართულ ხელოვნებაში ახალი ესთეტიკური წესრიგი შექმნა. ქართველი მხატვრები არა მარტო საკუთარი თავის, არამედ ახალი ქართული ხელოვნების რეპრეზენტაციასაც ახდენენ. საქართველო სხვა მრავალფეროვანი კულტურული აქციებით მომავალშიც წარსდგება ფრანგული საზოგადოების წინაშე. ასე რომ, 1998-99 წლებში საფრანგეთ-საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყება.

# ანონსი

**ოპერა**

13 მარტი, 15 მარტი
დას. 17 სთ.
პ. ჩაიკოვსკი „პიკის ქალი"

**რუსთაველის თეატრი**

(დიდი დარბაზი)
15 მარტი — დას. 17 სთ.-ზე
„საშობაო სიზმარი"
(ჩ. დიკენსის „საშობაო სიზმრების" მიხედვით).

14 მარტი დას. 17 სთ-ზე
ლ. თაბუკაშვილი
„მერე რა, რომ სველია
სველი იასამანი"

**გამოფენები**

ქ. თბილისის „სურათების
ეროვნული გალერეა"
14 მარტი
ბესო არბოლაშვილის
გამოფენის გახსნა

თანამედროვე ხელოვნების
საერთაშორისო ცენტრი
14 მარტი 16 სთ.
ლელა გელეიშვილისა და
ლევან სილაგაძის გამოფენის გახსნა

# ახალი ამბები

## გიორგი კობახიძე უკმაყოფილოა

„როდესაც ქვეყნის საყრდენი სტრუქტურების: თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამინისტროს, პროკურატურის პირველ პირებს სამშობლოს მოღალატეებს, კორუმპირებულებს, ტერორისტებს, კლინიკურ ავადმყოფებს და იდიოტებს უწოდებენ საჯაროდ და ეს ყველაფერი არც მათ და არც გარშემო მყოფთ არ აწუხებთ, უნდა დავასკვნათ, რომ სახელმწიფო მართლაც სერიოზულად არის დაავადებული" - განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი კობახიძემ.

მისი თქმით, როცა უწყების ხელმძღვანელი ამგვარ ბრალდებას და შეურაცხყოფას უსიტყვოდ „შეირგებს, მას არავითარი ავტორიტეტი არ ექნება თავის ხელქვეითებში. როგორც გიორგი კობახიძე მიიჩნევს, ახალ არჩევნებამდე საქმეს მაინც არაფერი ეშველება.

გეა

## წარმატებები შაშიაშვილსაც აქვს

ქუთაისში ყოფნისას საქართველოს ფინანსთა მინისტრი, მიხეილ ჭკუასელი, იმერეთის რეგიონში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულთან, გამგებლებთან, საგადასახადო და საბაჟო რეგიონალურ ხელმძღვანელებთან ერთად თათბირს დაესწრო. თათბირზე ძირითადად რეგიონში აღრიცხვიანობის მოგვარების საკითხი განიხილეს.

თათბირი თეიმურაზ შაშიაშვილმა გახსნა და რამდენიმე გამომსვლელის შემდეგ შემაჯამებელი მოხსენება წაიკითხა, რომლის დროსაც უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირა ბიუჯეტის მიმართ. მისი აზრით, ბიუჯეტი კატასტროფულად პატარაა და მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის ბიუჯეტი სრულდება, რისთვისაც ცენტრში შესაძლოა ზოგიერთმა ტაშიც კი დაუკრას, ეს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას არ აუმჯობესებს. „ბიუჯეტი მოსახლეობის ხარჯზეა შემცირებული - აცხადებს შაშიაშვილი და აღრიცხვიანობის მოწესრიგებას მოითხოვს შესაბამისი ორგანოებისაგან. როგორც თათბირზე გაირკვა, ცენტრს არც იმერეთის რეგიონი ჩამორჩება, სადაც რეგიონალური საგადასახადო ინსპექცია გადასახადების ამოღების დარეგულირებისათვის შესაბამის ღონისძიებებს ატარებს, რომლის დროსაც არაერთი დარღვევა დაფიქსირდა და დამრღვევებს სოლიდური თანხებიც დაერიცხათ. თუმცა შაშიაშვილმა არც კრიტიკა დააკლო რეგიონალური სტრუქტურების ხელმძღვანელებს.

როგორც ჩანს, პრეზიდენტის რწმუნებულის გამოსვლამ ისე ალაფრთოვანა ადგილობრივი ტელევიზია, რომელიც, სხვათა შორის, სულ მცირე, კვირაში ერთხელ მაინც პირდაპირი ეთერით გადასცემს თათბირებს, რომ გადაავიწყდა ფინანსთა მინისტრი და როგორც კი მიხეილ ჭკუასელმა დაიწყო საუბარი, პირდაპირი ტრანსლაცია რატომღაც შეწყდა. ალბათ ჩათვალეს, რომ ამ თათბირზე გამოთქმული საქმიანი წინადადებები, რჩევები თუ შენიშვნები მხოლოდ რწმუნებულმა და იქვე მყოფმა ხელმძღვანელობამ უნდა გაიგოს და არა მოსახლეობამ. ვიღაცამ გადაწყვიტა, რომ ის სერიოზული ცვლილებები, რომლებიც სამინისტროს მიერ ხორციელდება ბოლო თვეებში გადასახადების ამოღების თვალსაზრისით ან იმერეთში არავის აინტერესებს, ან კიდევ მინისტრის მიღწევების ფონზე შეიძლება ოდნავ დაიჩრდილოს შაშიაშვილის წარმატებები. ამას კი, როგორც ჩანს, ზოგიერთები ვერ გადაიტანენ.

გეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსახიობი და ცხოვრება

# «აქეთ ვალები, იქით ვალები, აი, ეს ხალხია თეატრალები»...

*დღევანდელი ნომრის სტუმარია რუსთავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან სვანაძე*

***ზოდიაქო*** *– (16 ნოემბერი) მორიელი, მუშაობდა ჭიათურაში, სადაც ორჯერ იყო წლის საუკეთესო რეჟისორი.*

*ქუთაისში მისმა დადგმულმა (სპექტაკლმა ა. კამიუ – „კალიგულა“) მარჯანიშვილის პრემია დაიმსახურა. ამჟამად, ქ. რუსთავის თეატრში დგამს ლაშა თაბუკაშვილის პიესას „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი!“*

*სასმელებიდან უყვარს შოტლანდიური ვისკი – „ჯონი-ვოკერი“ და კარგი კახური ღვინო.*

### საშინელი მორიელი

**– ბატონო ლევან, როგორ დაახასიათებდით საკუთარ თავს, არა მარტო როგორც ხელოვანს, არამედ როგორც ადამიანს...**

– საშინელი მორიელი ვარ, ისეთი, საკუთარი თავის დაგესვლაც რომ შეუძლია ხშირად. ალბათ იმიტომაც არ უმართლებს მორიელს ცხოვრებაში, საკუთარ თავს იდანაშაულებს და სხვასაც არ დაინდობს, ცნობილი არაკისა არ იყოს – სანაპიროზე სამშვიდობოს გასულმა, მაინც რომ უკბინა კუს. ასეა ცხოვრებაშიც. ხშირად, კუდს მოიქნევს და იკლავს საკუთარ თავს. ეს ის ადამიანია, საქმის კეთებაში საკუთარი თავისაგან და სხვისგანაც ბევრს რომ მოითხოვს.

**– რა პროფესიას აირჩევდა რეჟისორი ლევან სვანაძე, რეჟისორი რომ არ ყოფილიყო?**

– დიპლომატისას – ყველა საქმეში მეხმარება დიპლომატია. მოგეხსენებათ მსახიობები ძალიან თავისებური, არაორდინალური ხალხია. ვცდილობ და ვახერხებ ჩემი „ფარული ნიჭის“ მათთან კარგად გამოყენებას. ეს ჩემი სურვილი ხშირად მეხმარება, ვიყო კეთილი შუამავალი სამკვდროსასიცოცხლოდ გადაკიდებული ადამიანების დაშოშმინებაშიც. მაგრამ დიპლომატი რომ გავმხდარიყავი, რას გავაკეთებდი არ მიფიქრია, თეატრში კი ძალიან გამომადგა...

### მივდივარ იქ, სადაც უფრო საჭირო ვარ

ძირითადად, პერიფერიებში ვმუშაობდი, არასოდეს მიფიქრია მაინცდამაინც თბილისში დამედგა რამე. მე მივდივარ იქ, სადაც უფრო საჭირო ვარ. 21 წლისას წილად მხვდა პატივი ჭიათურის მთავარი რეჟისორი ვყოფილიყავი, 27 წლისას კი ქუთაისის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, განსაკუთრებით მიყვარს ეს პერიოდი. ამ თეატრში დავდგი ა. კამიუს „კალიგულა“. სპექტაკლმა კი, მარჯანიშვილის პრემია მიიღო.

ამჟამად რუსთავში ვარ „მივლინებული“. ვნახოთ ...

**– როგორია თქვენი აზრით, თანამედროვე ქართული ოჯახი? გაგვაცანით თქვენი ოჯახიც და რას იტყვით, ქალი უნდა მუშაობდეს კიდეც?**

– თანამედროვე ქართული ოჯახი ცალკე უნდა ცხოვრობდეს, თუმცა, რაღაც ეტაპი თავიდან, სანამ იგი ძალას მოიკრებს, შეიძლება დიდ ოჯახთან ერთად იყოს. დედის მთავარი საქმე კი შვილების აღზრდაა, ყოველ შემთხვევაში ჩემს ოჯახს ჯერჯერობით ასე სჭირდება.

ჩემი მეუღლე ნინო ინასარიძე – მუსიკოსია, ვიოლინოს სპეციალისტი. ამჟამად სახლშია და ორ ვაჟს მიზრდის. შოთა გუშინ 17 წლის გახდა, ლევანიკო ჯერ 6 წლისაა. მეუღლე, რაც ტყვედ ჩავიგდე, მყავს შინაურ პატიმრობაში სინდისის პატიმრის პრეტენზიით.

შოთას ბაბუაჩემის – შოთა გაბუნიას სახელი დავარქვით, საინტერესო კაცი იყო – დრამატურგი, ცნობილი თამადა, ფინანსისტი, სწორედ მისი მუშაობის დროს, 1959 წელს ფული შეიცვალა.

ლევანს ჩემი სიმამრის მამის სახელი ჰქვია. ძალიან კოლორიტული პიროვნება იყო, ცნობილი გუნდის „პირველი მერცხალის“ ნახევარმცველი, ხაშურის რაიონის მთავარი ექიმი. მას ჰყავდა ბოჰემური საძმო. მეგობრობდა გოგლა ლეონიძესთან. გარეგნულადაც კი ჟანგაბენს ჰგავდა. მე ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი შვილები ამ ადამიანების სახელებს ღირსეულად ატარებენ და მათ საქმეებს გააგრძელებენ.



თუმცა ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, ვცდილობ ორივე შვილი ავარიდო იმ პროფესიას, რაც თეატრთან არის დაკავშირებული. უფროსთან ეს განზრახვა თითქოს გამომივიდა, მაგრამ უმცროსი ცოტა არაორდინალურია და არ ვიცი, როგორ მოიქცევა.

### ხელოვანის ცხოვრებაში ღამე დიდ როლს ასრულებს

**– არა მხოლოდ სულიერად, ძალიან ბევრს თეატრალები მატერიალურადაც მდიდარი ხალხი ჰგონიათ, თქვენ რას იტყოდით?**

– აქეთ ვალები, იქით ვალები, აი, ეს ხალხია თეატრალები. აი, ამას ვიტყოდი!

ამ შეხედულებას, ალბათ, მსახიობთა ინდივიდუალური ჩაცმის სტილი, გემოვნება განაპირობებს. მე მხოლოდ ჩემი გემოვნებით ვიცმევ და არასოდეს მაინტერესებს რა ღირს, რა მარკისაა საქონელი და საიდანაა ჩამოტანილი.

**– გეშლებათ თუ არა ხელი მუშაობაში, თუ სტუმრები მოდიან? რა ადგილი უკავია ღამეს ხელოვანის ცხოვრებაში?**

– ჩემთან სულ სტუმრიანობაა, ხშირად მე და ჩემი სტუმრები ერთად ვმუშაობთ, ხან მხატვარი მოდის, ხან კომპოზიტორი. ასეთია ჩემი საქმე. მუშაობაში ყავა მშველის. სიყვარულით კი შოტლანდიური ვისკი მიყვარს.

ხელოვანის ცხოვრებაში ღამე დიდ როლს ასრულებს. ხშირად, ღამის 4 საათზე ავმდგარვარ და საქმე მიკეთებია. ყოველთვის მჭირდება მუსიკალური ფონი. ვუსმენ ჟან-მიშელ-ჟარს, შნიტკეს, მაქვს ცალკე ოთახი. გეგმა არ მიყვარს! თუ საქმით გატაცებული ვარ, იმ დროს ვერავინ ვერ მელაპარაკება და ფეხის წვერებზე დადიან. მე ჩემი ოჯახი ჩემს საქმეში მეხმარება.

ლაშა თაბუკაშვილის პიესის „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი!“ სამაგიდო პერიოდი გვაქვს. სპექტაკლი თავისი ხასიათით ძალიან აქტიურია და ჟარგონული ლექსიკითაცაა დატვირთული. ჩემს სახლში მიდის სამაგიდო რეპეტიციები, გარეთ კიდევ მეზობლების წივილ-კივილი... და უკვე ისე მიეჩვივნენ, „რაზდტვარიტელის“ გარჩევა ისწავლეს „ნგიდრიდისაგან“.

### მამაკაცისთვის მთავარია ძმობის შენახვის წესი

**– რომელი საქმის გადადება არ შეგიძლიათ?**

– ძმობის, შვილებთან ურთიერთობის, თუ ბიჭები გყავს, მამა განსაკუთრებულ როლს თამაშობს მათ კაცად ჩამოყალიბებაში.

**– მამაკაცს რას ვერ მიუტევებდით?**

– ბავშვობაში ვათარგმნინე „მაფიის კონსტიტუცია“, მაშინ რაც მხიბლავდა, იყო ულალატობის მომენტი, დღესაც იგივე აზრი მაქვს – „ძმობის შენახვის წესი“ – აი, რის დარღვევაც არ შეიძლება!

### საკუთარ სამშობლოს არ ეზუტებიან

**– ცოტა რამ თქვენი ახალი სპექტაკლის ხასიათზე.**

– პიესა მოიცავს პრობლემების უზარმაზარ ჯაჭვს, აქ არაა მთავარი მხოლოდ ნარკომანიის პრობლემა, ის რომ ნარკომანია-ავადმყოფობაა, რომ იგივე ნარკომანი მეორე დილით, იგივე რეალობას ხედავს, რასაც წინა დღეს გაექცა... აქ მრავალი პრობლემაა, რომლის მოკლედ თქმა გამიჭირდება და ამიტომ ერთ გვერდითი სახის ტკივილსაც შევეხები. იმ დიდ ვაკუუმს, რომელსაც 80-იანელთა თაობა შეხვდა საქართველოში, ალბათ ვერ გავექცევით სპექტაკლში და ვერც ცხოვრებაში. მაგრამ „საკუთარ სამშობლოს არ ეზუტებიან“ – ამბობს პიესის ერთ-ერთი გმირი! და ნურც ნურავინ დაიჯერებს, რომ იასამანს დაეკარგა ფერი...

**– ხელოვანის ცხოვრება ხელის გულზე მოსჩანს, ყველას აინტერესებს, როგორი ადამიანია იგი ცხოვრებაში... როგორი უნდა იყოს ქალი, თქვენ რომ მოგეწონოთ?**

– მომწონს შერონ სტოუნი, ბრუკ შილდსი, იმიტომ, რომ აქ არ არიან, ოჯახში სიმშვიდე და იდილიაა. ერთხელ, მეუღლემ გამაფრთხილა – იცოდე, ლევანჩიკო ყველაფრის პატიება შეიძლება... მაგრამ... უკეთესის შემთხვევაში!

მე კი, ისეთი ქალი მომწონს, სოფი ლორენი რომ თამაშობს, რომის ცხოვრებაზე ფილმში; მეუღლე, რომელიც ყველა სიტუაციაში ქმარს მიჰყვება, ყველა ცხოვრებისეულ სირთულეს უძლებს და იქცევა ისე, როგორც ქმრის თავმოყვარეობისათვისაა საჭირო.

არიან ერთმანეთზე საინტერესო ქალბატონები ამ ცხოვრებაში, მაგრამ მათ მე დამინდეს...

**– ქვეყანა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა თქვენზე.**

– ფინეთი, ქალაქი ტამპერე, სადაც, საერთოდ თეატრალური ფესტივალი იმართება, ხშირად ვარ ხოლმე იქ და რუსი კოლეგები რომ დამინახავენ „ეს აქ ჩაწერილიაო“, ამბობენ. განსაკუთრებით მომწონს მათი ტბები და საუნები. ჩემი მოგზაურობისადმი ასეთი სიყვარულის გამო, სახლში „მარკო პოლოს“ მეძახიან.

ნოსტალგია – ქართველის გამორჩეულ თვისებად მიმაჩნია, სადაც არ უნდა წავიდე, როგორც არ უნდა მომწონდეს სხვაგან, რამდენიმე დღეში ადგილს ვერ ვპოულობ, საქართველოში მინდა დაბრუნება.

**– თქვენთვის მისაბაძი ადამიანები...**

– ბიძაჩემი ლევან სვანაძე, რომლის სახელსაც მე ვატარებ. იგი საზოგადოება „ქუთაისელის“ პრეზიდენტია, აკადემიკოსი, პოლიგლოტი. ათი წელი ინგლისში, ამერიკაში ცხოვრობდა, ძალიან საინტერესო ადამიანია!

თემურ შაშიაშვილი – ჩემი შვილის, ლევანის ნათლია, უწესიერესი კაცი, ღირსეული ადამიანი, რომელსაც თეატრი ძალიან უყვარს.

ჩემი ქუთაისში ყოფნის დროს, მთელი ეროვნული შეხლა-შემოხლა თეატრის საქტო დარბაზში მიმდინარეობდა. ჩვენ მათ დარბაზი დავუთმეთ და მადლობა ღმერთს, სჰლმა აზრმა გაიმარჯვა.

თემურ შაშიაშვილი კარგი მაყურებელია და დიდ პატივს სცემს თეატრალ ხალხს.

ლევან სანიკიძე – მწერალი და ჭეშმარიტი ქართველი ამავე დროს ჩემი უფროსი მეგობარია. ასევე ლაშა თაბუკაშვილი – ღირსეული ოჯახის ღირსეული მემკვიდრე; ყოველი მათგანი ჩემთვის კაცურად ცხოვრების ცოცხალი მაგალითია.

### ეს რა გავიგონე...

**– გთხოვთ, გაიხსენოთ რაიმე შემთხვევა-კურიოზი.**

– მთელი ჩემი ცხოვრება კურიოზია. შედარებით უწყინარ ამბებს მოგიყვებით.

ჭიათურაში რომ ვმუშაობდი, დირექტორის მოადგილე მყავდა კაკო მიშველაძე, გამორჩეულად ვაჟკაცი კაცი, ტკივილები აწუხებს და ამიტომ ყურებახვეული დადის. იქ რომ ვიყავი, კანონიერი ქურდები მაკითხავდნენ, მოსწონდათ სპექტაკლები და მიმეგობრდებოდნენ, ჰქონდათ დიდი მიმოსვლა ჩემთან და იყო ერთი ამბავი.

ჩვენთან ჩამოვიდა გიორგი გეგეჭკორის ბიჭი – მხატვარი გოგიკა გეგეჭკორი და მიკითხა!

კაკო მიშველაძემ შეხვეული კინაღამ ხელით მოიგლიჯა, „ეს რას მოვესწარი, ეს რა გავიგონე ამ ყურებით?“... ძლივს არ გამოჩნდა ერთი მეგობარი – ქურდი რომ არაა და მხატვარი ყოფილაო!

ერთხელ, თბილისიდან დრამატურგი იყო ჩამოსული ჭიათურაში და ბევრიც დავლიეთ. მერე მოვასვენე სტუმარი და მე გავაგრძელე სმა. დილის ექვსი საათია მე გადავწყვიტე სუფრის გაახლება და გავედი მანქანით.

ერთობლივი, მკაცრი რეიდია – თბილისის ხალხიცაა ჩამოსული ... გამაჩერეს! ნაცნობი ჭიათურელი ინსპექტორი „მთვრალი ხარო?!“ თვალებით მანიშნებს, შემეცოდა – ცოტა დავუკელი „სამი ბოთლი შამპანური მაქვს დალეული, შემეშველე – არ წავიქცე მეთქი!“ – ხმამაღლა ვეუბნები.

თბილისელებმა აქტის წერა დაიწყეს. ჭიათურელებმა თავი კუბოში ჩაიდეს – „ეგ, ჩვენი სირცხვილია, დილის 6 საათზე, 3 ბოთლის მეტი რომ არ აქვს დალეული ლევან სვანიძეს! სირცხვილი ჩვენი, ნეტაი, ვინ იყო ის შერცხვენილი, შენი მასპინძელი, ... წამოდით, წავიდეთ – გამოვასწოროთ!“ ყველანი ერთად: მე, ჭიათურელები და თბილისელი ავტოინსპექტორები – იმერეთის სირცხვილის ასაცილებლად წავედით საქეიფოდ.

**– ერთი ნატვრა. რას უსურვებდით საკუთარ თავს და საქართველოს?**

– ნატვრა იმისთანა რამეა, ბევრი რამ შეიძლება ინატრო, მაგრამ სასურველი ხომ ხშირად მიღწეული არ არის. ვინატრებდი ისე მოგვეწყო საკუთარი ქვეყანა, რომ ქვეყნის შიგნით და გარეთ, მხოლოდ მოგზაურობის სურვილი გვქონოდეს. იმერელი კაცი ვარ, „შუშპარა და მჩქეფარე“ – მოძრავი! ასეთი მოგზაურობებისათვის „მოშნი“ მანქანა „გრანდ-ჩეროკი“ მჭირდება, ნაზი მანქანა მთაში მეგობრებთან მისასვლელად არ გამომადგება, ნაზი მარტო ქალია „აუცილებელი“...

სიძლიერეს ვუსურვებ საკუთარ თავს, სიძლიერეს ვუსურვებ ჩვენს ქვეყანას.

**ქეთი ჩადუნელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახლა პარლამენტთან მივდივართ, იქ ვაპირებთ შიმშილობას...

9 მარტს, თბილისის ე. წ. „დეზერტირების" ბაზრის თევზით მოვაჭრენი ქალაქის მერთან საკუთარი წარმომადგენლების შესვლას მოითხოვდნენ.

ქალაქის მერმა ისინი არ მიიღო...

გავესაუბრეთ რამოდენიმე მათგანს...

— ახლა პარლამენტთან მივდივართ, ვაპირებთ შიმშილობას. ჩემი შვილიშვილები თუ იშიმშილებენ, მეც ვიშიმშილებ! დაგვიბრუნონ ჩვენი ძველი სამუშაო ადგილი, რამდენი დღეა ასე ვართ, არავინ ყურადღებას არ გვაქცევს. ბაზარში — ჩვენს სავაჭრო ტერიტორიაზე, პირველ სართულზე არ გვაჩერებენ.

ტონანახევარი თევზი გაგვიფუჭდა, ზარალი 15000 დოლარზე მეტია. ზუთხი, თართი, სვია, ლოქო, ხრამული, კალმახი, ხიზილალა — შავი და წითელი — ქარხნული წესით გამოყვანილი! — ამდენი ნატანჯი და ნაწვალები.

300 ადამიანი უმუშევარი დავრჩით.

ახლა გვთავაზობენ, ადით ზემოთ და იქ ივაჭრეთო, იქ კი ანტისანიტარიაა, თან ვინ ამოვა თევზის საყიდლად ვერთხები დარბიან.

მაცივრები, რომლებიც ჩვენი სახსრებითაა შეძენილი ადგილზე არ დაგვხვდა, ჩვენ თევზი ვლადიკავკაზიდან, ასტრახანიდან და ბაქოდან ჩამოგვაქვს. უმაცივროდ განა ამდენი თევზი არ გაფუჭდებოდა?!

ბაზრის ყოფილი დირექტორი ლ. ზუბადალაშვილი, ასევე დ. ზეიკიძე და დ. ხაბულიანი წილში არიან — მათ კერძო სექტორი შექმნეს, სააქციო საზოგადოება და 51% მიაქვთ ბაზრიდან.

ლტოლვილები ისევ გარეთ ვაჭრობენ. მათ ვერაფერი მოუხერხეს — ერთი ქალი კინაღამ ხელში ჩააკვდათ, მათ საშინელი ისტერიკა გამართეს და გაიმარჯვეს.

დიდუბის გამგებელმა 6 მარტს ბრძანა: „ლტოლვილებს იქიდან ვერ გავიყვანთ და გავიყვანოთ თევზით მოვაჭრეებიო."

ჩვენ შიგნით მაინც ვართ, ყოველ დღე ფულს ვკრებთ, რომ დაალაგონ და დაასუფთაონ იქაურობა.

„ასატრინას" შედარებით იაფად ვყიდით — 12-13 ლარად, ისინი კი 16-17 ლარად გაყიდიან. დარწმუნებულები ვართ, მათ ჩვენი ადგილი ამ მიზნისათვის დაგვაკარგვინეს. არავითარი სხვა რამ! ჩვენს საქონელს „სერთიფიკატი" ყოველთვის აქვს.

დირექციამ ბაზარშივე „ცეხი" გახსნა და თვითონვე მიხვდებით, რაც ხდება. იმ მაღაზიებთანაც, რომელსაც გახსნიან, წილში იქნებიან.

დიდუბის გამგებელმა ბრძანა: „სადაც გინდათ იქ მიჩივლეთ, თქვენ მაინც, მაგ ადგილზე არ დაგაყენებთო!"

სად გაქრა ჩვენი მაცივრები?!

მთლად ჩვენი დირექცია ამ ამბავში არაა დამნაშავე. რატომ უნდა ერეოდეს ჩვენს შინაურ საქმეებში ძველი დირექცია! სამი კაცის გულისათვის ვართ ამ დღეში.

თევზით მოვაჭრენი პარლამენტის შენობისკენ გაუდგნენ გზას.

რას უპირებთ ამდენ გაფუჭებულ თევზს-მეთქი, ვკითხე ერთ-ერთს: — „უნდა დავასაფლავოთო!" მიპასუხეს.

# ჩინელი თამადა საქართველოში ანუ „ძიუსილი"

ცაო ძინ ლინ ჩინელი ბიზნესმენია, ქალაქ ურუმჩიდან, ჩინეთის „სინდიან-ჯარაის-ბიუსის" ფირმის წარმომადგენელი.

ამჟამად მუშაობს და ცხოვრობს საქართველოში, ოჯახის გარეშე, რომელიც ძალიან ენატრება. ოცნებობს მალე ნახოს 9 წლის ქალიშვილი. 19 წლის ვაჟი ცაო-ჯი კი, უკვე თბილისშია. იგი სწავლობს რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენებს — თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში.



ცაო ძინ ლინ აწარმოებს სოიოს რძისაგან დამზადებულ ყველს, რომელსაც „დოუფუ" ჰქვია. „დოუფუს" ისტორია მოიცავს რამოდენიმე ათასწლეულს, რადგანაც წარმოადგენს უსაყვარლეს და პოპულარულ პროდუქტს ჩინეთში და ასევე მის ფარგლებს გარეთ. ცაო ძინ ლინ თანამშრომლობს „სინავოგას" გვერდით მდებარე ჩინურ რესტორანთან; შემოთავაზებული „დოუფუ" წარმოადგენს საუკეთესო და სასარგებლო პროდუქტს მარხვის დროს, სხვადასხვა დიეტის დროს, ბავშვების კვებისათვის და სხვა ცილების ან რძის პროდუქტების მიმართ ალერგიის შემთხვევაში.

**— ბატონო ცაო ძინ ლინ, როგორ გრძნობთ თავს თქვენთვის უცხო ქვეყანაში?**

— თბილისი ძალიან შემიყვარდა. მიყვარს თქვენი ხალხიც. თქვენი მაგიდაც ალალია, ხალხი სადღეგრძელოებს ამბობს და ლოცავენ ერთმანეთს. ჩვენ სტუმართმოყვარეობითაც ძალიან ვგავართ ერთმანეთს, ჩვენთან არ შეიძლება ისე წახვიდე სახლიდან, სუფრა არ გაგიშალონ.

ჩვენი სასმელი განსხვავდება — ჩვენთან სვამენ ბრინჯის არაყს და თანაც ეს არაყი ცხელია.

**— ნუთუ თქვენთან ასე მსმელი ხალხია, იქაც ისე ქეიფობენ, როგორც საქართველოში?**

— თქვენთანაც უყვართ ჭამასმა და ჩვენთანაც. ხუთჯერ დღეში კვება ჩინეთში აუცილებელია. მაგრამ ჩვენი საჭმელები ხალხს არ ასუქებს. თქვენი კაცები კი უფრო ჩასუქებულები არიან. ჩინეთში თქვენებურ თამადას რაღაცით წააგავს „ძიუსილი". იგი ინიშნება სუფრაზე თანამდებობის, ასაკის მიხედვით. უფრო ხშირად კი, ვინც თანხას იხდის, ისაა სუფრის „ძიუსილი".

ჩვენთანაც იციან დაძალება — ხვეწნა, დალიე-დალიე, ძირითადი სადღეგრძელოები ჯანმრთელობას, ოჯახს და სასმსახურს ეხება.

**— ჩინელი ცოლები მთელი დღე სამზარეულოში არიან?**

— ჩინეთში ოჯახში სადილობა თავისებური რიტუალია, აუცილებლად იმ დროს, როცა დიასახლისი სუფრას შლის, ქმარი სახლშია და ოჯახთან ერთად მიირთმევს დღეში სამჯერ ეს სასურველია. 2-ჯერ კი აუცილებელი!

ჩვენ, კაცებს, მეუღლეები ძალიან გვეცოდება და სამზარეულო საქმეებსაც კაცები ვუძღვებით, ამ დროს ცოლი მხოლოდ ეხმარება ქმარს. ან უხარია ეს ყურადღება და ისვენებს. რამდენადაც გავიგე, თბილისელ ქალებს არ ყვარებიათ მეუღლეების სამზარეულო საქმეებში ჩარევა. არადა, მზარეულობა კაცების საქმეა, რომ იცოდეთ.

ქალმა კი უნდა უფრო მეტად დაისვენოს. ჩვენთან არც ისაა სირცხვილი, სარეცხის გარეცხვაში რომ წაეშველო ცოლს. ჩინეთში სირცხვილად ითვლება არ გქონდეს სახლი, ოჯახის რჩენის საშუალება და ცოლი კი მოიყვანო.

**— რა ნიშან-თვისებათა წყალობით ირჩევს ჩინელი კაცი მომავალ მეუღლეს?**

ცოლი უნდა იყოს, ოჯახის მოყვარული და პატიოსანი ქალი. ჩინელი კაცისთვის ცოლის გარეგნობაზე მეტი მნიშვნელობა მის სულიერ მხარეს ენიჭება. და თუ ქალი ქმარს დაკარგავს, სჯობს ის ათასჯერ გათხოვდეს (საყვარლის ყოლა კი უხამსობად ითვლება ჩვენში).

ჩვენ, ჩინელებს, ძალიან მოგვწონს აქაური ქალები, ისინი ძალიან ლამაზები და მეტად კულტურულები არიან. ერთი კი გვიკვირს, ქმრები ძალიან იშვიათად დადიან ცოლებით რესტორნებში, ჩვენთან კი ქმრებს ცოლები ხშირად მიჰყავთ ყველგან.

**— ბატონო ცაო, როგორ გაშლიდა სუფრას ჩინელი, მათი ქვეყნის სამზარეულო რომ დაახლოებით წარმოჩენილიყო თბილისში?**

— ძირითადად, ჩინური კულინარია ოთხი მიმართულებისაა. ტილ-ცომეული-ცხიმეული კერძების „ზეიმია" და ძირითადად ამ მიმართულებას პეკინელები ეტრფიან. ლიე — არამწარე და მჟავეული კერძებით გამოირჩევა. სიუა-სამხრეთ ჩინელების საყვარელი ტკბილეული კერძებია. ხოლო ცვან-ძალიან მწარე ცხარე მისაჭმელია.

თბილისის რესტორანში, ძირითადად ტილ-ცვან კერძები მზადდება. ჩვენი საჭმელები შეიძლება იყოს მწარეც და ტკბილიც.

მაგალითისთვის რამოდენიმე ჩვენებურ კერძს დაგისახელებთ, რომელიც იგემეს თბილისში და უკვე ხშირად ითხოვენ.

სალათი-სოალა, კეთდება კარტოფილით, ბულგარული წიწაკით, მწარე წიწაკით, ეს კარტოფილის ცხარე მჟავე ვინეგრეტია.

გუბაო-ძი-დან შემწვარი ქათამი, ბულგარული წითელი და მწვანე წიწაკით. კარტოფილის ფქვილით და მიწის თხილით, დამარილებული სოიოს საწებლით. იუსიან-იუს ძროხის ხორცით მზადდება. ეს ჩვენი პროფესიული საიდუმლოებაა, ღორის ენა დამარილებული სოიოს საწებელში ცივად.

ეს დაახლოებით იმისათვის, ჩინური სამზარეულოს ანბანი რომ გაიგო, თუმცა ჩვენ თქვენთვის „უცნაურ" კერძებსაც ვამზადებთ.

ამჟამად ვაწარმოებთ სოიოს ყველს „დოუფუს". მრავალი ვარიანტიდან ჩემთვის ყველაზე საყვარელს შემოგთავაზებთ ქართველ დიასახლისებს. „დოუფუ" დაიჭრას 7-8 სმ ნაჭრებად, მოიშუშოს კერამიკულ ქვაბში, საშუალო სიმსუქნის ღორის ან ქათმის ნაჭრებთან ერთად. მოშუშვისას შეიძლება დაემატოს ხახვი, ქინძი, ქინძის დანაყილი მარცვლები. ცოტაოდენი დარიჩინის ფხვნილი. მიიტანეთ ცხლად (უფრო გემრიელი იქნება, თუ მოიშუშება სოკოსთან ერთად).

**— რას უსურვებდით ჩინელ და ქართველ ხალხებს?**

— ჩვენ უკვე ძმები ვართ! ერთადერთი სიტყვა ქართულად, რომელიც ჯერჯერობით ვიცი, ეს არის გაუმარჯოს. დანარჩენს ალბათ ვისწავლი.

წარმოიდგინეთ, მიჭირავს ყანწი და ვლოცავ ჩვენს მეგობრობას, თქვენს სიკეთეს, სილაღეს, სტუმართმოყვარეობას.

მართალია, ჩვენ ერთიმეორეს სახით არ ვგავართ, გულით კი ძალიან. ნამდვილად ვამბობ! გაუმარჯოს მშვიდობას, გაუმარჯოს ჩემს ძვირფას თბილისს!

ხინ ხაო, ტაი ხაო ლა.

**ქეთი ჩადუნელი**

# ახალი ამბები

## ქართული ენის შესასწავლად სამცხე-ჯავახეთში გარკვეული ღონისძიებები ტარდება

„საქართველოში სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენის ფუნქციონირების უზრუნველყოფის ღონისძიებათა სახელმწიფო პროგრამის შესახებ" პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთის მხარეში პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზაცია მიმდინარეობს.

როგორც „იფრინდა"-სათვის გახდა ცნობილი, დღეისათვის ხელშეკრულებები მხარის ქართული ენისა და ლიტერატურის 210 მასწავლებელთანაა გაფორმებული. თითქმის ყველა რაიონში შეივსო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ვაკანტური ადგილები.

*იფრინდა*

## ქართველი მესაზღვრეები ბუდაპეშტში გაემგზავრებიან

როგორც „იფრინდა"-ს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ინფორმირებული წყარომ აცნობა, 16 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით, ბუდაპეშტის ერთ-ერთ საერთაშორისო აკადემიაში საიმიგრაციო ინსტრუქტორების პროგრამის შესასწავლად დეპარტამენტის 10 კაციანი ჯგუფი გაემგზავრება.

სემინარის დროს ქართველი მესაზღვრეები საერთაშორისო კონტრაბანდულ მოძრაობასთან და არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლის საკითხებს შეისწავლიან. სემინარში მონაწილეობას, ასევე, უკრაინის, ბულგარეთის, რუსეთისა და უნგრეთის წარმომადგენლები მიიღებენ.

ქართველთა გამგზავრების ხარჯებს საქართველოში აშშ-ს საელჩო გაიღებს.

*იფრინდა*

## არკანზასში საქართველოსათვის გადმოსაცემი კატარღა მზადდება

მარტს ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა 5 კაციანი ჯგუფი ამერიკის შტატ არკანზასის საპატრულო-საზღვაო კატარღების ქარხანაში გაემგზავრება. ამის შესახებ „იფრინდა"-სათვის საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში გახდა ცნობილი.

აღნიშნულ ქარხანაში საქართველოსათვის გადმოსაცემი კატარღა მზადდება. ქართველი სამხედროები დაათვალიერებენ და შეისწავლიან კატარღას, რომლის ეკიპაჟის წევრებიც თვითონ გახდებიან.

კატარღა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ა. წ. ზაფხულში შემოვა.

*იფრინდა*

## ბენზინიდან შემოსავალი გზებს მოხმარდება

„ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში ბენზინის გადასახადიდან ამოღებული თანხები მიემართება გზის გაუმჯობესებისთვის. საქართველომ თავის დროზე სხვა სქემა აირჩია და საწვავებისა და ნავთობპროდუქტების გადასახადებში არ შეიტანა ის თანხები, რომლებიც გზის განვითარებას მოხმარდებოდა - აღნიშნა მიხეილ ჭკუასელმა.

მისი თქმით, ამჟამად რეალურად იცვლება სქემა. მოხდება საწვავზე დაწესებული აქციზის გაზრდა. ამჟამად საუბარი მიმდინარეობს განაკვეთებზე, თუ როგორ მოხდება თანხების განაწილება ბიუჯეტსა და საგზაო ფონდს შორის.

*მეა*

# დღესაც ჩემი ვალი აქვს

თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის რექტორის ომარ გოგიაშვილის გადმოცემით სეულის ოლიმპიურ თამაშებზე თავისუფალი ჭიდაობის ფინალურ შეხვედრაში ლერი ხაბელოვმა წააგო რუმინელ ვეტერან მოჭიდავე პუშკაშუსთან, რომელთანაც მას მრავალჯერ ჰქონდა მოგებული.

ლერის წაგება ძალიან განიცადა დავით გობეჯიშვილმა, რომელიც მეორე დღეს ამერიკელ ათლეტს ბრიუს ბაუმგარტნერს ხვდებოდა ფინალურ ორთაბრძოლაში. დათომ განაცხადა, რომ ლერის დამარცხებისათვის ამერიკელზე ვიყრი ჯავრსაო და შეასრულა კიდეც თავისი სიტყვა. იგი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა, გახარებულები წავედით სასტუმროში და გვიან გაგვახსენდა, რომ სპორტის სასახლესთან მანქანა გველოდებოდა. ტაქსი დავიჭირეთ და მივედით დანიშნულ ადგილზე. მძღოლი მანქანაში იჯდა და მოთმინებით გველოდებოდა. ტაქსი გავუშვით და მომლოდინე მანქანით დავბრუნდით სასტუმროში. დავბრუნდით, მაგრამ ჯიბეგაფხეკილები ვიყავით, რადგან ოცდაოთხი საათის შემდეგ ტაქსის ფული ხუთმაგდება და ძლივს შევძელით მძღოლის გასტუმრება. ტაქსის ფული დღესაც ვალად აწევს კისერზე დავით გობეჯიშვილს, მაგრამ პირობას ვიძლევი, თუ კიდევ გახდება იგი ოლიმპიადის ჩემპიონი, ძველ ვალსაც ვაპატიებ და სამგზავრო ხარჯებს მთლიანად მე ავუნაზღაურებ.

# ჩემპიონობა კოცნის ფასად

ერთმა კოცნამ ოლიმპიური ჩემპიონობა მომაპოვებინა, — იხსენებს პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი დავით (ამურ) ციმაკურიძე, რომელმაც ოლიმპიური ოქრო ჰელსინკში მოიპოვა 1952 წელს. მას ბოლო შეხვედრა ამერიკელ ჰაჯისთან ჰქონდა, შეხვედრის დამთავრებამდე ცოტა დრო რჩებოდა, როცა დავითმა მეტოქე შუაკაურით ბეჭებით გააკრა ხალიჩას. გაბრაზებულმა ამერიკელმა სახეში გამეტებით გაარტყა ჩვენს ფალავანს. ყველაფერი წამებში მოხდა, ამბობს დავითი, იმერელი ვარ და გულფიცხობით და სიმაყით არავის გავუშვებ წინ, მაგრამ ამჯერად თავი შევიკავე, ვიფიქრე, მეც რომ დავარტყა, მომხსიან შეჯიბრებიდან და ოქროს მედალს თვალსა და ხელს შუა გამომაცლიან-მეთქი. ელვის სისწრაფით ვეცი მეტოქეს, მოვეხვიე და მაგრად ვაკოცე. იგი დაიბნა, უცბად ვერ გაერკვია სიტუაციაში. შემდეგ გონს მოეგო, სიბრაზემ გადაუარა და პირველმა მან მომილოცა ჩემპიონობა. კოცნაც დავიბრუნე და შინ ოქროს მედლით მკერდდამშვენებული დავბრუნდი.

**ანზორ კვირიკაშვილი**

# ჰოროსკოპი — მისანი

## 11-13 მარტი

**მერწყული (21.01-18.02)**
იყავით ანგარიშიანი, ნუ მოტყუვდებით, თავი შეიკავეთ უხარისხო საქონლის შეძენისაგან. თქვენი პარტნიორის ერთგულება გარანტირებულია, ნუ ეჭვიანობთ.

**თევზები (19.02-20.03)**
გაფრთხილდით ორშაბათს, მოულოდნელი გამგზავრებისაგან თავი შეიკავეთ, თუ მაინც წახვალთ, იყავით ყურადღებით, გზაზე რაიმე არ დაკარგოთ.

**ვერძი (21.03-20.04)**
თქვენი გზა ხსნილია. ამ პერიოდისათვის ბევრის გაკეთებას შეძლებთ ახლობლებისათვის.

**კურო (21.04-26.05)**
შეეცადეთ, რადგან ოთხშაბათს მოლაპარაკება თქვენთვის სასურველ საკითხზე მარცხით დამთავრდება.

**ტყუპები (22.05-21.06)**
დაუთმეთ მეტი დრო გართობას, დროებით შეწყვიტეთ კითხვა. ჰორიზონტის გაფართოება. თქვენ გადაღლილი ბრძანდებით, შეისვენეთ.

**კირჩხიბი (22.06-22.07)**
შეეცადეთ არანაირი საქმე არ წამოიწყოთ ლომთან. ის გალიზიანებულია და არ მოგისმენთ. ხუთშაბათი თქვენთვის კარგი დღეა.

**ლომი (23.07-23.08)**
შეინარჩუნეთ სიმშვიდე, ყურადღება მიაქციეთ თქვენს ჯანმრთელობას, ეჩვენეთ ექიმს. ოთხშაბათი თქვენთვის კარგი დღე იქნება.

**ქალწული (24.08-23.09)**
თქვენ ამ დღეებში გელოდებათ, სასიამოვნო გართობა. მხიარულება, სუფრა, მუსიკა... სიყვარული. ნუ ჩამორჩებით საქმესაც, სასურველი მდგომარეობის მისაღწევად საჭიროა მეტი სისწრაფე.

**სასწორი (24.09-23.10)**
თუ რაიმე პრობლემა გაქვთ მერწყულთან, შეეცადეთ გადაწყვიტოთ — ოთხშაბათიდან. მწუხარების დასასრული გარანტირებულია.

**ღრიანკალი (24.10-22.11)**
ერთი და იგივეობა; მოსაბეზრებელი ყოველდღიურობა. მოთმინებით დაელოდეთ შემდეგ პერიოდს და მისანის შემდგომ წინასწარმეტყველებას.

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**
ამჟამად საქმეში გაგიმართლებთ, მეტი ყურადღება დაუთმეთ ბავშვებს, განსაკუთრებით ქალწულს და მერწყულს.

**თხის რქა**
ამ დღეებში დაისვენეთ, წადით კინოში, თეატრში. დიდი დრო დაუთმეთ წიგნების კითხვას.


**რეკლამის განთავსების მსურველთა საყურადღებოდ!**

გაზეთი „საქართველო" თავისი ნომრის
ერთ გვერდს უთმობს სარეკლამო
განცხადებებს.
რეკლამა კეთდება შეღავათიან ფასებში.
ყოველი მესამე გამოშვება თქვენთვის
**უფასოა**

დაგვიკავშირდით ტელ.: 93-18-41, 93-20-36 ან მობრძანდით მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, გაზეთ „საქართველოს" რედაქცია.


# განცხადებები

**განიკურნეთ მხოლოდ ბუნებრივი საშუალებებით**

ხალხური მედიცინის საშუალებებით ვმკურნალობ შემდეგ დაავადებებს: ფსორიაზს, დიაბეტს, სამწვერა ნერვის ანთებას, კუჭის წყლულს, ამენორიას, შიდა ქალის წნევას, ჰიპერტონიას, სკლეროზს, თირკმელების რევმატიზმს, ასთმას, ცისტიტს, ეგზემას, პროსტატიტს, სოკოვან დაავადებებს, ტუბერკულოზს, თმის ცვენას, სმენის დაქვეითებას, პლევრიტს, სიყვითლეს, კლიმაქსს, ნერვოზს, ეპილეფსიას, თავის ტკივილებს, გაიმორიტს, უშვილობას, ჩიყვს, ბუასილს და სხვა. მკურნალობა ხდება მხოლოდ ბალახებით. ეფექტი გარანტირებულია.

**დაგვიკავშირდით ტელეფონით 66-9-65-12 ნანა, 52-16-67 ნინო**

---

ქირავდება 1-ოთახიანი ნათელი იზოლირებული ბინა დეზერტირების ბაზრის წინ ტელეფონით. თასი 130 ლარი. ტელ: 34-89-30

---

ქირავდება ავტოფარეხი 18 კვ. მ. კაპიტალური, თუნდაც კომერციული საქმიანობისათვის სტადიონთან. ალმაშენებლის გამზირი. ტელ: 34-89-30

---

ვამზადებ სკოლის მოსწავლეებს ქიმიაში. ფასი თვეში 25 ლარი. ტელ: 95-86-04

---

ვამეცადინებ ინგლისურში კომპიუტერით, აუდიო, ვიდეო კასეტებით. ფურცელაძის 22 (კოლმეურნეობის მოედანი). ტელ: 93-64-01

---

ვასწავლი კომპიუტერს ინდივიდუალურად, თანამედროვე დონეზე ტელ: 93-64-01

---

ვასწავლი კვალიფიციურ თარგმანს ევროპულ და აღმოსავლურ ენებში. ტელ: 93-64-01

---

მოვამზადებ ბავშვებს გერმანულ ენაში სახლში მისვლით, ფასი 30 ლარი. ტელ: 61-71-43 ნათია.

---

იცვლება მიწის ნაკვეთი საბურთალოზე დამტკიცებული საცხოვრებელი სახლის პროექტით ახალ მსუბუქ ავტომანქანაზე. ტელ: 39-26-39

---

იცვლება 4-ოთახიანი ბინა ვაჟა ფშაველას მე-5 კვარტალიდან მე-14 სართულის თუხარელის პროექტის ერთ ან ორ ოთახიან ბინაზე ან კომერციულ მაღაზიაზე ქალაქის ცენტრში. ტელ: 39-26-39

---

იცვლება ორი ბინა ოროთახნახევრიანი მიშენებით მეტრო პოლიტექნიკურთან და 4-ოთახიანი ვაჟა ფშაველაზე მე-5 კვარტალიდან მე-14 სართული, კერძო სახლზე ან გარემონტებულ დიდ ბინაზე. ან მაღაზიაზე ქალაქის ცენტრში. ტელ: 39-26-39

---

იყიდება ან იცვლება დუშეთში სამოთახიანი ერთ სართულიანი სარემონტო ბინა 600 კვ. მ. ხეხილიანი ბაღი, მუდმივად არის სინათლე და წყალი, საქონლის ბაზართან იცვლება ბინაზე. ტ. 39-43-73

---

იყიდება დიღმის მასივში ბაზართან 4-ოთახიანი გარემონტებული ბინა მე-11 სართულზე (14 სართულიანია). საწყისი ფასი 15000 დოლარი. ტელ. 52-74-90

---

იყიდება 2,5 ოთახიანი ბინა მიშენებით, მე-3 სართულზე ბახტრიონის ქუჩაზე მეტრო პოლიტექნიკურთან. ტელ: 39-26-39


**ექსპრეს აუდიტ სერვისი**

*ლიცენზია №091*
*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას*
*ზოგად აუდიტში*

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
3. ქონების შეფასება-გადაფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5, მე-12 სართ.
ტელ.: 93-15-89



Доkа пицца

Doka pizza

94-07-00

| | |
|---|---|
| სოსისით | 2-00 |
| ქათმის ხორცით | 2-50 |
| ვიჩინით | 2-50 |
| სოკოთი | 2-50 |
| ვიჩინით და სოკოთი | 3-00 |

ადგილზე მიტანა 2-00



*გამოიწერეთ გაზეთი*

**„საქართველო"**

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს" ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:
- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე"-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.


გაზეთ „საქართველოს" რედაქცია სამუშაოდ იწვევს პროფესიონალ ჟურნალისტებს. საკონტაქტო ტელ. 93-20-36. მისამართი: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444